# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 17 ოქტომბერი 2001 №198 (1471) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანრის ნუ გააგულისებთ!

## იგორ ჩერევჩენკომ რომას გზა გაუკაფა



REUTERS ლონდონიდან

არსენალელი ფრედერიკ ლიუნგბერგი თანაგუნდელ ტიერი ანრის „პანათინაიკოსის“ კარში წყვილად გატანას ულოცავს

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის გუშინდელმა ნახევარმა უკვე გამოავლინა მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი მონაწილე. ბრიუსელში „ანდერლეხტის“ 2:0 ძლევით მადრიდის „რეალმა“ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა. იქამდე ბევრი არც მოსკოვში მოგებულ რომაულ კლუბს უკლია: კაფუს გოლმა თუ ჩერევჩენკოს ავტოგოლმა ფინალური ქვეჯგუფისკენ გზა თითქმის გაუკაფა „რომას“, რომელსაც დარჩენილ ორ მატჩში ქულაც ჰყოფნის. „რომამ“ „ლოკომოტივს“ მეორედ მოუგო 1:0 და ორჯერვე ბურთი ბოლოს მოსკოველ მცველს, იგორ ჩერევჩენკოს შეეხო. თუმცა, ამჯერად უეჭველ გოლი კაფუს ჩაუთვალა, რამაც რუს მცველს დამნაშავის კომპლექსი ეგებ ბოლომდე არ დაუმძიმოს. „ლივერპულის“ ფრანგ თავკაც ჟერარ ულიეს ნაოპერაციევ გულს კი თუ რამ ახლა მალამოდ დაედებოდა, ცხადია, მისი გუნდის კიევში გამარჯვება. ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონის დამოძღვრილმა „ლივერპულმა“ 2:1 მოუგო სტუმრად კიევის „დინამოს“, რითაც ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლას ახლა იმაზე ბევრად მეტი აღარ აშორებს, რამდენიც მის მწვრთნელს შაბათს 11-საათიანი ოპერაციისას სიკვდილს აშორებდა. გულზე ხელის დადება, ეგებ, არც კიეველთა თავკაც ვალერი ლობანოვსკის ასცდეს. 1 ქულა 4 ტურში თუნდ გადახალისებული „დინამოსთვის“ მისაღებ შედეგად ვერ ჩაითვლება. იგივე არ ითქმის 9-ქულიან ბერძნულ „პანათინაიკოსზე“, რომელზეც არსენალელმა ტიერი ანრიმ გუშინდელი დუბლით ძველი ჯავრი იყარა და პირველად დააკარგინა ერთბაშად სამი ქულა. თუმცა „შალკეს“ პალმა დე მალიორკაში გამარჯვების მერე ბერძნები მაინც კარგ შანსს ინარჩუნებენ.

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| A ჯგუფი | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| რომა | 1 |
| ანდერლეხტი | 0 |
| რეალი | 2 |

| C ჯგუფი | |
|---|---|
| მალიორკა | 0 |
| შალკე | 4 |
| არსენალი | 2 |
| პანათინაიკოსი | 1 |

| B ჯგუფი | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| ლივერპული | 2 |
| დორტმუნდი | 2 |
| ბოავიშტა | 1 |

| D ჯგუფი | |
|---|---|
| ლაციო | 2 |
| პსვ | 1 |
| გალატასარაი | 0 |
| ნანტი | 0 |


REUTERS ბრიუსელიდან

გუშინ ბრიუსელში: „ანდერლეხტი“ — „რეალი“ 0:2. ლუიშ ფიგუმ და მადრიდელებმა ბელგიელები და სხვა თანაჯგუფელები უკან მოიტოვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური

## A ჯგუფი

### ლოკომოტივი 0:1 რომა

0:1 კაფუ (78)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ობიორა, ლოსკოვი, პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
რომა: ანტონიოლი, ძაგო, სამუელი, ძებინა, კაფუ (ფუზერი 89), ტომაზი (ასუნსაო 83), ემერსონი, ლიმა, გიგუ, ტოტი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ობრადოვიჩი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

### ანდერლეხტი 0:2 რეალი

0:1 რაული (18), 0:2 მაკმანამანი (35)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, ილიჩი, ტრაორე, ჰენდრიქსი, ვანდერეიდე, ჰასი, ბასეჯიო (ელ საიდი 46), იაშჩუკი (ო. ტომპსონი 78), დინდანე, მორნარი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
რეალი: სესარი, რობერტო კარლოსი, პავონი, იერო (რუბენი 60), სალგადო, სელადესი, მაკელელე, მაკმანამანი (სავიო 69), გუტი (მორიენტესი 76), რაული, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დინდანე, კრასონი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
21 900 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 12 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## B ჯგუფი

### დინამო 1:2 ლივერპული

0:1 მერფი (48), 1:1 გიოანე (59), 1:2 ჯერარდი (67)
დინამო: რევა, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო (იდაჰორი 79), ბელკევიჩი, გიოანე, ჩერნატი, ბოდნარი (გუსინი 55), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანრი, ჰიპია, რიისე, მაკალისტერი, შმიცერი (რედნაპი 80), ჯერარდი, მერფი, ბარმბი (ბერგერი 61), ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ჰესკი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
50 000 მაყურებელი

### დორტმუნდი 2:1 ბოავიშტა

0:1 ალეშანდრე (33), 1:1 რიკენი (50), 2:1 იან კოლერი (68)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ევანილსონი, სტევიჩი, როიტერი, დედე, რიკენი (მადუნი 90), მეცელდერი, სორენსენი (ოლისე 77), როსიცკი (იურგენ კოლერი 90), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, ერივენი, დუდა, მარსიუ სანტუში (მარტელინიო 59), ფრეშაუ, ბოსინგვა (პეტი 48), ალეშანდრე (მარიუ სილვა 70), სანჩესი
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: პაულუ ტურა, ბოსინგვა, რუი ოსკარი, პეტი, რიკენი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
42 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დინამო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |

## C ჯგუფი

### მალიორკა 0:4 შალკე

0:1 ვან ჰუგდალემი (14), 0:2 ჰაიტო (21პ), 0:3 ასამოა (73), 0:4 სანდი (84)
მალიორკა: როა, ოლაიზოლა, ნადალი (ფათიჰი 26), ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, კამპანო (ნოვო 75), პაუნოვიჩი, მარკოსი, დიასი (კარლოსი 56), ლუკე, ეტოო
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, მატელანი, ტონი (ნემეცი 80), ასამოა, ვან ჰუგდალემი (კმეტში 79), ვილმოტსი (ბიუსკენსი 74), ვერმანტი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: ნადალი, სანდი, მარკოსი, ასამოა
გაძევება: ეტოო (26)
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

### არსენალი 2:1 პანათინაიკოსი

1:0 ანრი (23), 1:1 ოლისადებე (50), 2:1 ანრი (52პ)
არსენალი: რ. რაიტი, ეშლი კოული, კემპბელი, აშტონი, ლორენი, ვიეირა, პირესი (პარლოუ 71), ლიუნგბერგი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ბერხკამპი 71), ანრი (გრიმანდი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ფოკოლოსი, პაულუ სოუზა (სეიტარიდისი 78), კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 78), მიკაელსენი, კირიაკოსი, ოლისადებე, ბასინასი, კარაგუნისი (კოლკა 78), ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირიასტასი
გაფრთხილება: პაულუ სოუზა, ვიეირა, აშტონი, კირიაკოსი, ლორენი, კოული, მიკაელსენი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
35 042 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| მალიორკა | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| შალკე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |

## D ჯგუფი

### ლაციო 2:1 პსვ ეინდჰოვენი

1:0 ფიორე (39), 2:0 კლაუდიო ლოპესი (55პ), 2:1 კეჟმანი (56)
ლაციო: პერუცი, კოუტუ, სტამი, ფავალი, პობორსკი (ნეგრო 72), მენდიეტა, ჯანიკედა, პანკარო, ფიორე (დ. ბაჯო 82), კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი (კრესპო 60)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
პსვ ეინდჰოვენი: ლოდევაიქსი, ოიერი, ფაბერი, ნიკიფოროვი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65), ჰოფლანდი, ჰაინცე (ბრუგინკი 84), რომედალი, დე იონგი (ლუსიუსი 46), ფოგელი, ბუმა, კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
50 000 მაყურებელი

### გალათასარაი 0:0 ნანტი

გალათასარაი: მონდრაგონი, ვედათი, ემრე ასიქი, არიფი (ფლურკინი 73), ბიულენთ აკინი (სუათი 65), სერგენი, პერესი, სერქანი (უმით კარანი 58), ერგუნი, ჰაქან უნსალი, ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ნანტი: ლანდრო, ფაბრი, ანდრე (ვაირუა 69), დელომი, ბერსონი, აჰამადა (და როშა 65), ჯემბა, კუინტი, არმანი, დეროფი, ზიანი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ჯემბა, დეროფი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
22 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| ლაციო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |



არსენალი — პანათინაიკოსი. ლონდონელმა ტიერი ანრიმ რენე ჰენრიკსენის (№2) „პანათინაიკოსი" ძირს დასცა



ლოკომოტივი— რომა. „დინამოზე" რომაელებმა ბრაზილიელი კაფუს (მარცხნივ) გოლით იმარჯვეს



გალათასარაი — ნანტი. სტუმართა მეკარე მიკაელ ლანდრომ მასპინძლებს — არიფს (№6) და სერგენს არ გაატანინა

# უეფას თასი. მეორე ეტაპი

პირველი მატჩები

UEFA CUP

ვიკინგი (ნორვეგია) 0:1 ჰერტა (გერმანია)
0:1 პრეეცი (5)
როდა (ჰოლანდია) 4:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
1:0, 2:0 სოტერსი (4, 36), 3:0 ბერგლუნდი (54), 3:1 ფ. პორვატი (78), 4:1 ფათიმ სონქაია (82)

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-12 ტურის მატჩი
ვერდერი (მოყვ.) 1:1 ბრაუნშვაიგი

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები
მანჩესტერ სიტი 0:0 შეფილდ იუნ.
შეფილდ უენსდი 1:2 პრესტონი
სტოკპორტი 1:2 ვესტ ბრომვიჩი
ვულვერჰემპტონი 0:1 კრიუ
კრისტალ პალასი 2:0 ბრედფორდი
მილუოლი — უოტფორდი გადაიდო

## რუსეთი

### თასის 1/8 ფინალი

სატურნი 0:0 (პენ.5:4) შინიკი
ცსკა 2:1 რუბინი
სოკოლი 2:1 გაზოვიკ-გაზპრომი
ამკარი 4:1 ნოსტა

## ჰოლანდია

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები
მაასტრიხტი 2:0 ტელსტარი
ოსი 0:4 ჰაარლემი
ემენი 1:1 დენ ჰააგი

## შვეიცარია

### A ჯგუფი. გადადებული მატჩი

ლუცერნი 2:1 აარაუ

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია. II წრე

### A ჯგუფი. VII ტური

ტაილანდი 1:1 ბაჰრეინი
1:0 სრიმაკა (21), 1:1 ალი აჰმედი (90)
გაძევება: პრომრუტი (74, ტაილანდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 15 |
| საუდის არაბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| ერაყი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:10 | 7 |
| ბაჰრეინი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| ტაილანდი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:11 | 4 |

საქართველოს უმაღლესი ლიგის 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 11 ტური მიმოხილვა

# კოვზი თაფლი ზესტაფონისთვის, გაზაფხული პირველი ეტაპისთვის




ბადრი ქოთიაშვილის ფოტო

„დინამოსთან" „გურია" იმედო დუნდუამ და რამაზ ფირცხალაიშვილმა ახეირეს

**ესეც ასე,** დასრულდა მეცამეტე ეროვნულის პირველი ეტაპის პირველი წრე, რომელიც ადრინდელისგან არაფრით გამორჩეული აღმოჩნდა. ისევ ის ულიმღამო ბურთაობა, უამრავი ხარვეზი და ცუდი ფიზმომზადება, მოურჩენელი სენი ეროვნული ჩემპიონატისა.

65 თამაშში ერთიც არ გამოერია ისეთი, ქომაგი ალტაცებაში მოეყვანა. ისევ ალაპარაკდნენ გარიგებებზე, აღებ-მიცემაზე და ძველი ვალების გასტუმრებაზე. მართალია, ჯერჯერობით ქუდი არავის დასწვია, მაგრამ...

ჩემპიონი დაუმარცხებელია, ვიცე-ჩემპიონი ფრესთან არის მწყრალად. ბრინჯაოს პრიზიორი ვერაფრით დალაგდა, „ვიტ ჯორჯია" მოფერიანდა, „ბათუმმა" სერიოზული მიზნები დაისახა და ასე შემდეგ. მეორე წრე კი სამ დღეში დაიწყება, ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკია, თითქოს წრე ხეირიანად არც დამთავრებულა, ტური ტურს მოჰყვება.

მეთერთმეტე ტურმა ერთი მოულოდნელობა შემოგვთავაზა, თუმც ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ტურის ცენტრალური და არშემდგარი მატჩის გადადებაზე ვთქვათ.

ცამ პირი მოალო ბათუმში და სტადიონიც დაიტბორა. მატჩის ინსპექტორი და ორთავ გუნდის თავკაცი შეთანხმდნენ. იქნებ სამივესთვის უმჯობესი იყო თამაშის ჩაშლა, მაგრამ „ლოკომოტივს" ხელთ ტყუილად მგზავრობა რომ შერჩა?! არა უშავსო, უთქვამთ რკინიგზელებს. ზოგჯერ აქტიური დასვენებაც სასარგებლოაო.

ტყუილად მგზავრობა ვახსენეთ და ბათუმური თავსხმის გადამკიდე „ტორპედოს" თავკაცს მეტოქის დაზვერვის გეგმა ჩაეფუშა. რევაზ ძოძუაშვილმა ქუთაისიდან ბათუმამდე, იქიდან კი წყალტუბომდე ტყუილად კეცა კილომეტრები, თუმც „სამგურალთან" თამაშის ბოლოს მაინც ჩაუსწრო და საპატიო სტუმართა ლოჟიდან ადევნა თვალი შეხვედრის დარჩენილ ნაწილს.

იმ დროისთვის ძოძუაშვილის ახალ თანაშემწეს, სოსო ფრუიძეს საქმე თითქმის დასრულებული ჰქონდა. დაიწყო დიდავამ, დაასრულა იონანიძემ. მათ შუა უკრაინელმა ანდრი პოროშინმაც გაიხარა, რომელმაც წლეულს უკვე 6 ბურთის გატანა შეძლო. უგოლოდ არც ქუთათელაძე დარჩენილა.

გოლების მარაგი ვეტერანმა მამუკა ხუნდაძემაც გაზარდა. სულ ცოტაც და ასიანებს ისიც შეუერთდება. ჩემპიონატის ბოლომდე დიდი დროა, ხუნდაძეს კი ამ ხნის მანძილზე ორჯერ მარჯვედ მოქნევა არ უნდა გაუჭირდეს.

წყალტუბოში მეზობლები რომ თამაშობდნენ, იმ დროს კიდევ ერთი იმერული კლუბი „გორდას" მასპინძლობდა. თაფლივით ტკბილი იყო ზესტაფონელთათვის პირველი გამარჯვება. თითქმის სამი თვე ელოდნენ მეტალურგები ამ დღეს და რაკი ეღირსნენ, რაღა უჭირთ.

რუსთავის „გორდამ" კი ბოლო გამარჯვება 28 ივლისს დააჭაშნიკა, ბოლო ქულასაც მეათე ტურში გამოჰკრა ხელი და ცხრილში ზესტაფონელების წინ მხოლოდ მეტი გატანილი გოლების წყალობითაა მოკალათებული.

„დინამო" ჯერაც დაულაგებელიაო, ვთქვით. ტურის ერთადერთი მოულოდნელობაც თბილისელებმა (უფრო სწორად, ლანჩხუთელებმა) შემოგვთავაზეს. ვერაფერი გააწყო ათგზის ჩემპიონმა გურულების წინააღმდეგ. ჯერ გაუტანა მეტოქეს, მერე გაუშვა და ქულას დასჯერდა.

გივი ნოდიას ერთი მატჩიც არ უთამაშია ოპტიმალური შემადგენლობით. ფეხბურთელთა ნაწილიც საკმაოდ გაჭირვეულდა ამ ბოლო დროს, მაგრამ სტუმრად ფოთის „კოლხეთის" 4:0 მომგები გუნდი შინ „გურიასთან" სუსტად არ უნდა გამოიყურებოდეს.

მალე მეორე წრე დაიწყება და „დინამოს" ნამდვილ სახეს მაშინ ნახავთო, უთქვამს პრესკონფერენციაზე ათგზის ჩემპიონთა თავკაცს. რა უფლება გვაქვს, არ ვერწმუნოთ და „დინამოს" არასტაბილური ბურთაობაც კლუბში მომხდარ რეორგანიზაციას დავაბრალოთ.

ახალ მწვრთნელს დაეძებენ გურულები. ალბათ, იპოვნიან კიდეც, ჩვენთვის დღემდე გაუგებარია, რატომ წამოვიდა ლანჩხუთიდან სოსო ფრუიძე.

უკვე „ტორპედოში" გამწვრთნელებულმა კონკრეტული მიზეზი არ დაასახელა, მაგრამ ლანჩხუთურ კლუბში უთანხმოებაზე მიანიშნა. თუმცა, გადაჭრით რაიმეს მტკიცებას დაუსაბუთებლად ვერავინ შეძლებს.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯიამ" უხერხული მეტოქე დაამარცხა. 6-გოლიანი გოგობერიშვილი უკვე კლუბის ერთპიროვნული ბომბარდირია. კაპიტნის ზუსტ დარტყმას ამჯერად „სიონი" ემსხვერპლა. მასპინძელთა თავდამსხმელებმა კი „არმაზზე" თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

ბოლნისელთა მარცხიანობის მიზეზი ძნელი დასადგენია. ემოციურობამ დალუპა „არმაზზე" „სიონი". თანაც ძალიან მოშვებულები და მოთენთილები ჩანდნენ სტუმრები. მათი ლიბერო კახა სიდამონიძე კი სულაც სიცხიანი თამაშობდა.

„ვიტ ჯორჯიამ" ამ გამარჯვებით „დინამოსაც" გადაასწრო, მაგრამ 18 ქულა ექვსეულში მოხვედრის გარანტიას ჯერ ვერ იძლევა.

ავჭალაში „მერანს" რომ „კოლხეთისთვის" მოეგო, საექვსეულო ამბიციებიც გაუორმაგდებოდა. ამიერიდან დიდი ძალისხმევა დასჭირდება ოთარ გაბელიას გუნდს, საწადელს რომ მიაღწიოს.

ეროვნულ ჩემპიონატში „კოლხეთის" რომ ნებისმიერი გუნდის დაჩოქება ძალუძს, ამაში ეჭვი არასდროს შეგვპარვია. ცუდი ის არის მხოლოდ, რომ ისეთ თამაშს ჩაავდებენ ფოთელები, რომლის შედეგზეც ზოგჯერ მათი კეთილდღეობაა დამოკიდებული. მერე არის ხოლმე ეჭვები, საუბრები, მტკიცებები, რაც ბოლოს თავის მართლებით მთავრდება...

„სინათლეზე" მაგრად იმუშავეს ფილიას ბიჭებმა. თავად მწვრთნელმა კი ერთი ისეთი შეცვლა გამოიცნო, ღირებულებით ათს რომ გაუტოლდებოდა. მუმლაძის ორმა ზუსტად მოქნეულმა „კოლხეთს" სამი ქულა გაუჩარხა.

65 თამაში და 179 გოლი. საშუალოდ 2,75 გოლი მატჩში მთლად წყალწაღებული შედეგი როდია. ეროვნული ჩემპიონატი შაბათის ტურით გაგრძელდება, თუმც პირველ ეტაპს წლეულს დასრულება არ უწერია. საპრიზო ექვსეულის და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლთა ვინაობას საგაზაფხულოდ მორჩენილი 4 ტურის შემდეგ შევიტყობთ.

**მამუკა ძგანტალიანი**



ნუკრი ბარდაველიძის ფოტო

იოსებ დევიძემ (შუაში) გელა ფანჩულიძეს და მიხეილ ქობულაძეს აჯობა, „მერანმა" კი „კოლხეთს" ვერა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| ბობოხიძე | დინამო |
| 6 - გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| დათვაძე | ლოკომოტივი |
| პოროშინი | ტორპედო |
| ჭიჭიკაძე | კოლხეთი |
| 5 - ბურდული | დინამო |
| დავითაშვილი | მერანი |
| იონანიძე | ტორპედო |
| მაჭუტაძე | ბათუმი |
| მუმლაძე | კოლხეთი |

## სიმბოლური ნაკრები

- კონსტანტინე მიტრიშვილი — გურია
- შალვა მუმლაძე — კოლხეთი
- გინადი კაციაშვილი — გურია
- მირიან გინაძე — მეტალურგი
- ბესიკ თოდორაძე — ვიტ ჯორჯია
- ლაშა ნოზაძე — ვიტ ჯორჯია
- ლევან ბაკურია — კოლხეთი
- კახა გოროზია — კოლხეთი
- თენგიზ კობიაშვილი — ვიტ ჯორჯია
- ალექსანდრე მიქრილაძე — მეტალურგი
- გუბაზ დოლიძე — გურია

გუნდი: კოლხეთი

მწვრთნელი: სოსო ფილია



ბადრი ქოთიაშვილის ფოტო

„ეროვნულზე" „დინამო" არ წაქცეულა, თუმც ბევრიც არა დაჰკლებია

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 11 | 10 | 1 | 0 | 30:5 | 25 | 31 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 16 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 21:6 | 15 | 24 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 9 |
| 3 მერანი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:17 | 1 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 8 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:14 | -7 | 7 |
| 4 ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:6 | 7 | 18 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 15 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 18:12 | 6 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 13:10 | 3 | 7 |
| 6 დინამო | 11 | 5 | 2 | 4 | 23:11 | 12 | 17 | 5 | 2 | 2 | 1 | 14:5 | 9 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:6 | 3 | 9 |
| 7 კოლხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 20:19 | 1 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 7 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 8 სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:9 | -9 | 1 |
| 9 გურია | 11 | 1 | 5 | 5 | 7:16 | -9 | 8 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:9 | -7 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 10 სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:16 | -15 | 0 |
| 11 გორდა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:23 | -14 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | -8 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | -6 | 2 |
| 12 მეტალურგი | 11 | 1 | 3 | 7 | 5:23 | -18 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:15 | -12 | 2 |

# სმოლენსკური ბრილიანტი

**შოთა არველაძის** შოტლანდიური დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა. ლიგის თასზე „ერდრისთან“ გატანილ ორ გოლს პრემიერლიგაში ქართველმა ერთიც დაამატა, ხოლო კიდევ ორი მისი პასებით გავიდა. „რეინჯერსმა“ „კილმარნოკს“ 3:1 მოუგო, თუმცა თანაქალაქელ „სელტიკს“ კვლავაც შვიდი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზე მყარად დგას.

გერმანიაში „ფრაიბურგმა“ შინ ვერაფერი მოუხერხა ბოლოადგილოსან „ზანქტ პაულის“ და გასავარდნ ზონასთან ისევ ახლოსაა. სტუმრებმა დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაათანაბრეს და ფოლკერ ფინკეს „საბავშვო ბაღს“ (ასე უწოდებენ „ფრაიბურგს“ გერმანიაში) ოდნავი მოდუნება ორი ქულის ფასად დაუჯინეს.

თავიდან მასპინძლები აგებდნენ, მერე კობიაშვილისა და იაშვილის გოლებით დაწინაურდნენ. პირველი ტაიმის ბოლოს კობიაშვილმა ზაიერის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა, 74-ე წუთზე კი იაშვილმა ჰამბურგელი ამაღუ მოატყუა და ცაციათი მეკარისგან შორეულ კუთხეში ლამაზად გაიტანა.

საინტერესოა, რომ „კიკერის“ ვერსიით, იაშვილმა განელ იბრაჰიმ ტანკოსთან ერთად ფრაიბურგელთაგან ყველაზე მაღალი 2,5 ქულა მიიღო. კობიაშვილს სამიანი დაუწერეს, ხოლო ცქიტიშვილმა შეცვლაზე ითამაშა და არ შეუფასებიათ, თუმცა კომბინაცია, რომელსაც იაშვილის გოლი მოჰყვა, სწორედ მისი დაწყებული იყო.

კარგად ვერ მიდის არჩილ არველაძის „კიოლნის“ საქმეები. ევალდ ლინენის გუნდს 8 სექტემბრის მერე აღარ გაუმარჯვია, ბოლო სამივე მატჩი წააგო, მათგან ორი დიდი ანგარიშით და „ზანქტ პაულისთან“ მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს. არჩილმა ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და თავისიანებს ვერაფრით ეხმარება.

კიოლნელთა მთავარ დანაკარგად კი ასევე ტრავმირებულ კრისტიან ტიმს მიიჩნევენ. 22 წლის ტიმს ხშირად გერმანული ფეხბურთის იმედსაც უწოდებენ ხოლმე, თუმცა ჯერჯერობით გაუთავებელი ტრავმები თავის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს.

ისევ წააგო გიორგი დემეტრაძის „სოსიედადმა“. წინა ტურში გოლის გამტან ქართველს ამ შაბათს არ უთამაშია. მწვრთნელ ჯონ ტოშაკს კი ნელნელა წყალი უდგება. გუშინ სან სებასტიანიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში ტოშაკის თანაშემწედ ხუან მანუელ ლილიო დაინიშნება. კვირას მადრიდში სადილობისას ლილიოსა და ტოშაკს ფუნქციათა განაწილების თაობაზეც უსაუბრიათ.

მიხეილ აშვეთიას ვარჯიშზე მიღებული ტრავმა საბედნიეროდ მსუბუქი აღმოჩნდა. გასულ კვირაში მან „კოპენჰაგენის“ ორი მატჩი გამოტოვა, ერთი დანიის სუპერთასის, მეორე ჩემპიონატისა. კვირას კი „სილკებორგთან“ სტუმრობისას ბოლო წუთზე ერთადერთი გოლის გამტანი სიბუსისო ზუმა შეცვალა.

რუსეთის უმაღლეს ლიგაში ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“ მეორე, ანუ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტ „ზენიტს“ სტუმრობდა და უგოლოდ დაშორდა. იური სიომინმა ქართველი ბოლო სამ წუთს ათამაშა პიმენოვის ნაცვლად. რკინიგზელები სანკტპეტერბურგელებს ისევ ერთი ქულით ჩამორჩებიან, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი სამი ტური დარჩა.

„სპარტაკმა“ სტუმრად „კრილიას“ მოუგო და პირველობა თითქმის გაინაღდა. კახა მჟავანაძემ სარეზერვო გუნდში ითამაშა.

რუსთა პირველ ლიგაში თავი გამოიჩინა თეიმურაზ გადელიამ. მისი „კრისტალი“ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და შაბათს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა 3:2 მოუგო ჩიტის „ლოკომოტივს“. მასპინძელთაგან ორი (ერთი პენალტით) გადელიამ გაიტანა. ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ორი საჩუქარიც გადასცეს, ერთი საოლქო ადმინისტრაციამ, მეორე ასოციაცია „სმოლენსკიე ბრილიანტიმ“.

ლატვიაში პირველად გაიტანა თამაზ პერტიამ, ხოლო კვიპროსში ლევან მაღრაძემ. პერტიამ „რიგა“ „[illegible]სთან“ მე-5 წუთზე დააწინაურა, თუმცა საბოლოოდ თამაში ფრედ დამთავრდა. პაფოსელმა მაღრაძემ კი აელ-თან პირველივე წუთზე შეაგდო, მაგრამ მასპინძელმა ლიმასოლელებმა მაინც იძალეს და პაფოსელები ოთხი ტურის შემდეგ ისევ გაუმარჯვებლები დატოვეს.

**სოლომონ გულისაშვილი**



„საბავშვო ბაღმა“ იაშვილის (მარცხნივ) გოლით კი გაიხარა, მაგრამ...

| სახელი გვარი | გუნდი | სად | ძეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანქტ პაული 2:2 | 90 | 1 გოლი | 9 | 2 | 14 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანქტ პაული 2:2 | 90 | 1 გოლი პენ. | 9 | 2 | 14 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ზანქტ პაული 2:2 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 14 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ზანქტ პაული 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ზანქტ პაული 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ვოლფსბურგი 0:4 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 15 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | არმინია 0:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| | | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ტოტენჰემი 1:3 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 18 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ლესტერი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| | | | **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ბრედფორდი 3:0 | 0 | | 2 | 0 | 1 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანფერმლაინი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 9 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | დანფერმლაინი 0:1 | 90 | | 10 | 0 | 9 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 3:1 | 90 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი | 1 | 1 | 2 |
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ვენეცია 1:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 5 |
| | | | **იტალია. სერია B** | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | შ | კომო 0:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 18 |
| ლევან მელქაძე | სიენა | შ | კომო 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 18 |
| | | | **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | რაიო ვალეკანო 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 5 | 1 | 20 |
| | | | **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | როდა 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 6 | 0 | 11 |
| | | | **ბელგია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | აალსტი 2:0 | 90 | | 5 | 0 | 13 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | ს | აალსტი 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 13 |
| | | | **შვეიცარია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | იანგ ბოისი 0:0 | 0 | | 11 | 1 | 9 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | იანგ ბოისი 0:0 | 90 | | 13 | 9 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | სერვეტი 3:3 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| | | | **ავსტრია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ბრეგენცი 3:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 2 |
| | | | **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | ს | სილკებორგი 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| | | | **რუსეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ზენიტი 0:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 2 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ზენიტი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | | ტური გამოტოვა | | | 1 | -2 | 12 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | კრილია 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 3 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | კრილია 2:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | | ტური გამოტოვა | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | | ტური გამოტოვა | | | 3 | 0 | 6 |
| | | | **რუსეთი. პირველი ლიგა** | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | ს | ნეფტეხიმიკი 0:2 | 90 | | 10 | 1 | 17 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | ნეფტეხიმიკი 0:2 | 90 | | 22 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | ს | ნეფტეხიმიკი 0:2 | 62 | შეცვალეს | 8 | 1 | 17 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ლოკომოტივი 3:2 | 90 | 2 გოლი | 22 | 6 | 13 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | ტომი 2:0 | 0 | | 12 | 0 | 3 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | ს | სპარტაკი 0:2 | 0 | | 2 | -2 | 7 |
| | | | **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | რადომსკო 1:0 | 90 | | 11 | 0 | 5 |
| | | | **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | დიორი 1:1 | 71 | შეცვალეს | 8 | 0 | 6 |
| | | | **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ლევსკი 1:4 | 79 | შეცვალეს | 5 | 0 | 11 |
| | | | **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ანორთოსისი 2:2 | 0 | | 2 | 1 | 7 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | აელ ლიმასოლი 1:2 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 12 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | ს | კატოკოპიასი 0:5 | 90 | | 4 | 2 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | ს | კატოკოპიასი 0:5 | 90 | | 3 | 0 | 14 |
| | | | **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 3:0 | 0 | | 13 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 3:0 | 45 | შეცვალეს | 16 | 2 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დაუგავა 3:0 | 90 | | 19 | 15 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დაუგავა 3:0 | 0 | | 21 | 5 | 2 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | დაუგავა 3:0 | 90 | | 5 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | ვალმიერა 1:1 | 90 | 1 გოლი | 10 | 1 | 7 |
| | | | **აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გია კილასონია | ნეფთჩი | ს | მოიკ 1:0 | 55 | შეცვალეს | 7 | 1 | 2 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | შამქირი 0:2 | ? | | ? | 1 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## საქართველოს თასი

**მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 16 ოქტომბერი**

**დინამო 2** თბილისი (I) 0:0 (0:1) ***დილა*** *გორი (I)*
**ლოკომოტივი 3** თბილისი (I) 0:1 (0:0) ***სიონი*** *ბოლნისი*
**ცხინვალი** (I) 0:2 (1:4) ***გორდა*** *რუსთავი*
**მერანი 2** თბილისი (I) 0:2 (2:4) ***მილანი*** *წნორი (I)*
**მაუდი** თბილისი (II) 1:3 (0:7) ***თსუ*** *თბილისი (I)*
**ლაზიკა** ზუგდიდი (I) 0:5 (0:6) ***კოლხეთი*** *ფოთი*
**სულორი** ვანი (II) 0:1 (0:8) ***ბათუმი***
**კოლხეთი 2** ფოთი (II) 1:2 (1:6) ***გურია*** *ლანჩხუთი*
**ხობი** (I) 3:2 (0:1) ***სამგურალი*** *წყალტუბო*
**სამტრედია** (I) 0:2 (1:1) ***მეტალურგი*** *ზესტაფონი*
**თორი** ბორჯომი (I) 0:2 (0:1) ***ქობულეთი*** *(I)*
**ზოოვეტი** თბილისი (II) 2:1 (0:4) ***მერანი*** *თბილისი*

**ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩის ანგარიში**

**ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის „ლოკომოტივი“, თბილისის „დინამო“ და თბილისის „ვიტ ჯორჯია“ გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან**

# ცხვრებთან მამალიც მგელია



REUTERS

ტოტენჰემელი მაურისიო ტარიკო დერბელთა შორის გაძრომას ლამობს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IX ტური

**ტოტენჰემი 3:1 დერბი ქაუნთი**

1:0 ფერდინანდი (10), 1:1 რავანელი (15), 2:1 ციგე (41), 3:1 პოიეტი (90)

ტოტენჰემი: სალივანი, კინგი, რიჩარდსი, პერი, ციგე, ტარიკო, ფრიინდი, ანდერტონი, პოიეტი, ლ. ფერდინანდი (რებროვი 87), შერინგემი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

დერბი ქაუნთი: ფიუერი, ს. ჯონსონი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, მავენი, ბარლი, მორისი (ძინძლაძე 62), დ. პაუელი, ვალაკარი, დ. ბარტონი (კრისტი 71), რავანელი

მწვრთნელი: კოლინ ტოდი

გაფრთხილება: მავენი, რავანელი

მსაჯი: ჰელსი

30 148 მაყურებელი

„დერბი ქაუნთის" ახლადდანიშნული მენეჯერის, კოლინ ტოდის დებიუტი მარცხიანი გამოდგა. „ტოტენჰემ ჰოტსპურმა" 3:1 მოუგო ცხრილის ბოლო სამეულში დამკვიდრებულ მიდლენდელებს.

ანგარიში მეათე წუთზევე გახსნა ლეს ფერდინანდმა, რომელმაც კრისტიან ციგეს დაბალ პასს დაუხვედრა ფეხი.

სრულ ხუთ წუთში სტუმრებმა ლონდონელთა დაცვა გაჭრეს და ფაბრიციო რავანელიმ ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, პირველი ტაიმი ფრედ მაინც ვერ დამთავრდა, იმავ ციგემ მიიღო მარადმწვანე ტედი შერინგემის ბრწყინვალე გადაცემა და „ტოტენჰემი" დააწინაურა, 2:1.

მეორე ნახევარში „დერბიმ" ვერაფერი შეძლო. ახალ მენეჯერს მხოლოდ თავისი გუნდის უსუსური თამაშის ცქერა შეეძლო. თვითონაც რომ გასულიყო მოედანზე, მაინც ვერაფერს შეცვლიდა. წერტილი კი გუსტავო პოიეტმა დასვა.

„დერბიმ" მეხუთედ წააგო რვა ტურში. „ტოტენჰემმა" კი ცხრა თამაშში მესამედ მოიგო და მეთორმეტე ადგილზე აცოცდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 8 | 5 | 3 | 0 | 12:3 | 18 |
| არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:5 | 17 |
| მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 25:14 | 17 |
| ასტონ ვილა | 7 | 4 | 3 | 0 | 11:3 | 15 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 |
| ჩელსი | 7 | 3 | 4 | 0 | 12:7 | 13 |
| ლივერპული | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 12 |
| ბოლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:14 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| ფულემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| იფსვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:12 | 6 |
| დერბი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:16 | 5 |
| ლესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:19 | 5 |

## პორტუგალია

### I ლიგა. VIII ტური

**ბელენენსეში 1:5 ბეირა მარი**

0:1 ფერი (30), 0:2 კრისტიანუ (42), 0:3, 0:4 ფერი (47, 59), 1:4 ჟოზე ატონსო (64), 1:5 ფერი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| პორტუ | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 16 |
| ბენფიკა | 8 | 3 | 5 | 0 | 15:11 | 14 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 13 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 1 | 3 | 9:12 | 13 |
| ბეირა მარი | 8 | 3 | 3 | 2 | 15:13 | 12 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 0 | 4 | 13:11 | 12 |
| ბრაგა | 8 | 3 | 2 | 3 | 14:6 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | 11 |
| ფარენსე | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 11 |
| სეტუბალი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:12 | 10 |
| ლეირია | 8 | 2 | 4 | 2 | 8:8 | 10 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 10 |
| ალვერკა | 8 | 3 | 1 | 4 | 11:15 | 10 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:15 | 9 |
| ფერეირა | 8 | 1 | 5 | 2 | 8:8 | 8 |
| სალგეირუში | 8 | 2 | 1 | 5 | 5:15 | 7 |
| ვარზიმი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:18 | 5 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა. IX ტური

**ბოხუმი 1:1 ვალდჰოფი**

0:1 ტებერი (9), 1:1 შინდცილორდცი (14პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 22 |
| ჰანოვერი | 9 | 6 | 3 | 0 | 26:7 | 21 |
| არმინია | 9 | 6 | 1 | 2 | 17:7 | 19 |
| უნიონი | 9 | 5 | 2 | 2 | 23:11 | 17 |
| ფიურტი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| აინტრახტი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| უნტერჰახინგი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| ბოხუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 18:14 | 15 |
| ალენი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:25 | 15 |
| კარლსრუე | 9 | 4 | 1 | 4 | 10:12 | 13 |
| შვაინფურტი | 9 | 3 | 2 | 4 | 4:8 | 11 |
| ბაბელსბერგი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:20 | 10 |
| ვალდჰოფი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ალემანია | 9 | 2 | 2 | 5 | 6:13 | 8 |
| როიტლინგენი | 9 | 2 | 1 | 6 | 15:21 | 7 |
| დუისბურგი | 9 | 0 | 4 | 5 | 9:19 | 4 |
| ზაარბრიუკენი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | 4 |
| ობერჰაუზენი | 9 | 0 | 2 | 7 | 10:22 | 2 |

## შვედეთი

24-ე ტური: ჰალმსტადი — იურგორდენი 0:0; ჰელსინგბორგი — ნორჩიოპინგი 0:1; იორგრიტე — ჰეკენი 2:0; აიკ — ჰამარბი 5:2; სუნდსვალი — გიოტებორგი 1:0; ელფსბორგი — ტრელებორგი 2:0; მალმიო — იორებრო 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 24 | 13 | 6 | 5 | 42:25 | 45 |
| გიოტებორგი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:27 | 41 |
| იურგორდენი | 24 | 11 | 8 | 5 | 30:22 | 41 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 10 | 9 | 5 | 42:26 | 39 |
| აიკ | 24 | 10 | 9 | 5 | 41:28 | 39 |
| ჰალმსტადი | 24 | 10 | 7 | 7 | 47:27 | 37 |
| იორგრიტე | 24 | 9 | 9 | 6 | 33:30 | 36 |
| იორებრო | 24 | 8 | 9 | 7 | 47:41 | 33 |
| მალმიო | 24 | 8 | 5 | 11 | 36:43 | 29 |
| ელფსბორგი | 24 | 8 | 3 | 13 | 29:48 | 27 |
| სუნდსვალი | 24 | 6 | 8 | 10 | 26:35 | 26 |
| ნორჩიოპინგი | 24 | 6 | 8 | 10 | 24:39 | 26 |
| ჰეკენი | 24 | 4 | 8 | 12 | 31:47 | 20 |
| ტრელებორგი | 24 | 3 | 5 | 16 | 25:54 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან

ბელარუსული „მოზირის" ნახევარმცველი ვლადიმირ კორიტკო სლოვაკურ „რუზომბეროკში" იჯარით გადავიდა. კონტრაქტის პირობით კორიტკო სლოვაკეთში სეზონის ბოლომდე დარჩება. აღსანიშნავია, რომ „რუზომბეროკმა" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპიდან სწორედ ბელარუსული კლუბი, ოღონდ „ბელშინა" გააგდო, რომელიც ბელარუსის თასის მფლობელია.

**შოტლანდიურმა „დანდიმ" ინგლისური „კრისტალ პალასიდან" ... რანი ჩინელი მცველი ფან ჟუი გადაიბირა, რაც ერთი მილიონი ... დაუჯდა. 31 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ახლა სამშობლოში ეროვნული გუნდის შეკრებაზე იმყოფება, სააგენტო „სინხუას" უთხრა: „კრისტალ პალასში" მუდმივად პრობლემები მქონდა ნაკრებში გაშვების თაობაზე, არადა, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „დანდიში" მსგავსი პრობლემა არ მექნება, თან უკეთესი გუნდიც არის".**

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე პიტერ კენიონმა განაცხადა, რომ კლუბის ახალი მწვრთნელის ვინაობას საშობაოდ გამოაცხადებენ. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერის" ახლანდელი მენეჯერი სერ ალექს ფერგიუსონი კლუბიდან სეზონის ბოლოს მიდის. პიტერ კენიონმა ალექს ფერგიუსონს კლუბის ისტორიაში უდიდესი მწვრთნელი უწოდა და თქვა, რომ მარტინ ონილთან, ფაბიო კაპელოსთან, დევიდ ოლირისთან და ოტმარ ჰიცფელდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და „მანჩესტერის" ახალი მწვრთნელი სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი გახდება.

**ფრანგული „ტრუას" მოთამაშე ლუჩანო სავანო ინგლისურ „დერბიში" გადავიდა. იტალიური წარმოშობის არგენტინელი დერბიში დღეს ჩადის და სავარაუდოდ, უკვე ამ შაბათს „ჩარლტონის" წინააღმდეგ ითამაშებს პრემიერლიგაში. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა.**

მოლდოვურ „შერიფს" ახალი მწვრთნელი ჰყავს, ალექსანდრ გოლოკოლოსოვი, რომელმაც ვალერი ვასილიევი შეცვალა. თავის მხრივ ვასილიევი ვლადიმირ ზემლიანუს მემკვიდრე იყო და პოსტზე სულ რაღაც ორი თვე გაძლო. ალექსანდრ გოლოკოლოსოვი ტირასპოლურ გუნდში „კონსტრუქტორულიდან" გადავიდა, სადაც მის მაგივრად იური კულიჩი დაინიშნა.

**უკრაინული „შახტარის" ყოფილი მწვრთნელი ვიქტორ პროკოპენკო, რომელმაც შარშან გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და წინა კვირაში გადადგა, „შახტარის" ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. პროკოპენკომ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ მწვრთნელობისგან დაიღალა და თან საკმარისი გამოცდილებაც არ გააჩნია, რათა გუნდს დიდი წარმატებები მოუტანოს. ახალ პოსტზე ის დონეცკელთა პრეზიდენტის რინატ ახმედოვის სურვილით დაინიშნა.**

არგენტინის ნაკრების მწვრთნელ მარსელო ბიელსას კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უმთავრდება. შეგახსენებთ, რომ არგენტინამ უკვე მოიპოვა კორეა-იაპონიაში გამგზავრების უფლება. იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ თქვა, თუ ბიელსას სურვილიც იქნა, სიამოვნებით გავუგრძელებთ კონტრაქტსო, მაგრამ მწვრთნელი პასუხისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებას ელოდება. გრონდონასავე თქმით, თუ ბიელსა ვერ დაიყოლიეს, პოსტს „ინტერის" თავკაც ექტორ რაულ კუპერს ან ბოკახუნიორსელ კარლოს ბიანკის შესთავაზებენ. პრეზიდენტი ამათგან კუპერს ანიჭებს უპირატესობას.

## ჩეხეთი

მე-10 ტური: პრადეც კრალოვე — სიგმა 1:0; თეპლიცე — პრჟიბრამი 2:0; დრნოვიცე — ოპავა 3:0; იაბლონეცი — ლიბერეცი 0:3; სლავია — სპარტა 0:1; ბანიკი — ბლშანი 3:1; ტეპლიცე — სინოტი 1:1; ბრნო — ბოჰემიანსი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 8 | 0 | 2 | 18:6 | 24 |
| ბოჰემიანსი | 10 | 7 | 2 | 1 | 16:4 | 23 |
| ჟიჟკოვი | 10 | 7 | 1 | 2 | 17:7 | 22 |
| ბანიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 19:10 | 20 |
| ლიბერეცი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:11 | 16 |
| სლავია | 10 | 5 | 1 | 4 | 17:14 | 16 |
| დრნოვიცე | 10 | 4 | 2 | 4 | 15:12 | 14 |
| ბრნო | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| სინოტი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:11 | 13 |
| იაბლონეცი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| ჰრადეც კრალოვე | 10 | 4 | 0 | 6 | 11:21 | 12 |
| ბლშანი | 10 | 3 | 1 | 6 | 16:19 | 10 |
| სიგმა | 10 | 2 | 4 | 4 | 10:15 | 10 |
| ტეპლიცე | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| პრჟიბრამი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 8 |
| ოპავა | 10 | 0 | 1 | 9 | 7:22 | 1 |

## პოლონეთი

### A ჯგუფი

მე-11 ტური: ვისლა — გურნიკი 2:1; ვიძევი — ოდრა 1:2; პოლონია — ოსტროვიეცი 2:0; ზაგლებე — კატოვიცე 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 11 | 7 | 1 | 3 | 21:11 | 22 |
| ოდრა | 11 | 7 | 1 | 3 | 21:14 | 22 |
| პოლონია | 11 | 5 | 4 | 2 | 18:10 | 19 |
| ზაგლებე | 11 | 5 | 2 | 4 | 18:18 | 17 |
| კატოვიცე | 11 | 4 | 3 | 4 | 16:19 | 15 |
| ოსტროვიეცი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:15 | 11 |
| გურნიკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:18 | 9 |
| ვიძევი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:20 | 9 |

### B ჯგუფი

მე-11 ტური: გროცლინი — ლეგია 2:3; ამიცა — შლიონსკი 1:1; პოგონი — სტომილი 3:0; რუხი — რადომსკო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 11 | 6 | 3 | 2 | 16:11 | 21 |
| ლეგია | 11 | 6 | 2 | 3 | 26:14 | 20 |
| ამიცა | 11 | 5 | 4 | 2 | 19:14 | 19 |
| შლიონსკი | 11 | 4 | 3 | 4 | 20:20 | 15 |
| რუხი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | 15 |
| რადომსკო | 11 | 3 | 3 | 5 | 9:11 | 12 |
| გროცლინი | 11 | 3 | 2 | 6 | 16:20 | 11 |
| სტომილი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:22 | 8 |

## დანია

მე-12 ტური: ბრონდბიუ — ოლბორგი 0:0; სილკებორგი — კოპენჰაგენი 0:1; ესბიერგი — ოდენსე 2:0; ორჰუსი — აკადემისკი 1:1; ლიუნგბიუ — მიდტიულანდი 0:4; ვაილე — ვიბორგი ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 12 | 8 | 3 | 1 | 29:5 | 27 |
| ოლბორგი | 12 | 8 | 2 | 2 | 21:14 | 26 |
| ესბიერგი | 12 | 7 | 1 | 4 | 20:19 | 22 |
| კოპენჰაგენი | 12 | 6 | 3 | 3 | 16:10 | 21 |
| აკადემისკი | 12 | 4 | 6 | 2 | 18:13 | 18 |
| მიდტიულანდი | 12 | 4 | 6 | 2 | 14:9 | 18 |
| ოდენსე | 12 | 3 | 4 | 5 | 16:19 | 13 |
| ლიუნგბიუ | 12 | 2 | 6 | 4 | 12:17 | 12 |
| ვიბორგი | 11 | 2 | 5 | 4 | 13:15 | 11 |
| ვაილე | 11 | 2 | 4 | 5 | 14:23 | 10 |
| ორჰუსი | 12 | 1 | 5 | 6 | 9:21 | 8 |
| სილკებორგი | 12 | 0 | 3 | 9 | 8:25 | 3 |

## იტალია

### სერია B. IX ტური

**კროტონე 3:4 ვიჩენცა**

0:1 ძანკეტა (25), 1:1 იურიჩი (39), 2:1 არტისტიკო (54), 2:2 მარკოლინი (67), 2:3 მარჯოტა (71), 3:3 ბელოტი (79ს.კ.), 3:4 შვოკი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 18 |
| რეჯინა | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 17 |
| ვიჩენცა | 7 | 4 | 3 | 0 | 15:10 | 15 |
| ანკონა | 8 | 4 | 3 | 1 | 7:4 | 15 |
| ემპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:9 | 14 |
| ჯენოა | 8 | 4 | 2 | 2 | 8:5 | 14 |
| კომო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:11 | 13 |
| სალერნიტანა | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| პალერმო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:12 | 11 |
| ბარი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:10 | 11 |
| სამპდორია | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | 10 |
| ნაპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| მესინა | 8 | 2 | 4 | 2 | 6:8 | 10 |
| ტერნანა | 8 | 1 | 5 | 2 | 8:7 | 8 |
| კროტონე | 8 | 2 | 2 | 4 | 12:12 | 8 |
| კოზენცა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| ჩიტადელა | 8 | 2 | 1 | 5 | 12:17 | 7 |
| სიენა | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | 6 |
| კალიარი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:12 | 4 |
| პისტოიეზე | 8 | 0 | 3 | 5 | 3:9 | 3 |

### სერია C1/a

მე-7 ტურის მატჩი: პადოვა — ტრევიზო 0:1

## უკრაინა

### თასის 1/8 ფინალის წილისყრა

ობოლონი (კიევი) — დინამო (კიევი); მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალისტი (ხარკოვი); მეტალურგი (მარიუპოლი) — ზაკარპატია (უჟგოროდი); ვოლინი (ლუცკი) — მეტალურგი (დონეცკი); დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) — პოლიგრაფტექნიკა (ოლექსანდრია); კრივბასი (კრივოი როგი) — ცსკა (კიევი); კარპატი (ლვოვი) — ტავრია (სიმფეროპოლი); სტალ (ალჩევსკი) — შახტარი (დონეცკი)

პირველი მატჩები გაიმართება 20-21 ოქტომბერს, საპასუხოები — 27 ოქტომბერს



### ზვონიმირ ბობანი

დაიბადა 1968 წლის 8 ოქტომბერს იმოტსკში (ხორვატია)

1985: დაიწყო თამაში ზაგრების „დინამოში"

1987: იუგოსლავიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი

1989: მიიწვიეს იუგოსლავიის ეროვნულ გუნდში

1990: პოლიციელის ცემისთვის მისცეს დისკვალიფიკაცია, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშა. დეკემბერში პირველად გამოჩნდა დამოუკიდებელი ხორვატიის ნაკრებში, სადაც სულ 51 მატჩი ჩაატარა

1991: გადავიდა „მილანში", თუმცა მალე „ბარიში" გაანათხოვრეს

1993: გახდა იტალიის ჩემპიონი „მილანის" შემადგენლობაში

1994: გახდა იტალიის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი

1996: მოიპოვა მესამე სკუდეტო და ითამაშა ევრო 96-ზე

1998: გახდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი

1999: მეოთხედ მოიპოვა სკუდეტო „მილანში". გამოეთხოვა ნაკრებს

2001: აგვისტოში გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი „სელტასთან", თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და კარიერა დაასრულა

# ბობანი 33

## შინ წასვლის დროა

**ზაფხულში** „მილანიდან" ვიგოს „სელტაში" გადასულმა ზვონიმირ ბობანმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გადაწყვიტა, საერთოდ დაესრულებინა კარიერა.

„გალისიაში დიდი გეგმებით ჩავედი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ძალიან გამიძნელდა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე" — განაცხადა ხორვატმა პრესკონფერენციაზე.

16 წელიწადია, ბობანი პროფესიონალი ფეხბურთელია. „მილანის" რიგებში იგი ოთხჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, 1994 წელს კი ჩემპიონთა თასიც მოიპოვა.

„ფეხბურთში გატარებული არაერთი სეზონის შემდეგ გადავწყვიტე, სამშობლოში დავბრუნდე, უფრო მეტი დრო ოჯახში გავატარო და ისტორიის შესწავლას მივყო ხელი. ისე კი ფეხბურთს კვლავ დავუბრუნდები, რადგან უმისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია" — ასეთია 33 წლის ბობანის გეგმები.

**ნიკა შუბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი ბოიერი



ჯონათან ვუდგეიტი

# შავი ღორი
## ესენი ფერს გაარჩევდნენ?

**ლიდსელი** ფეხბურთელების — ლი ბოიერისა და ჯონათან ვუდგეიტის სასამართლო ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება.

გავიხსენოთ: 2000 წლის იანვარში ამ ორმა და მათმა მეგობრებმა, პოლ კლიფორდმა და ნილ კავენმა, სასტიკად სცემეს 21 წლის საფრაზ ნაჯეიბი, თუმცა მას მერე გაიძახიან, არაფერი გვახსოვსო. ფეხბურთელების ნათქვამი სიმართლეს ჰგავს, რადგან უგონოდ მთვრალები იყვნენ და აბა, რა ემახსოვრებათ. მაგრამ ეს რა შელავათია ნაცემი ბიჭისთვის, რომელიც ტვინის შერყევით და ბლომად დაჟეჟილ-მოტეხილობებით საავადმყოფოში მოხვდა. ბოიერისა და ვუდგეიტის საქმე იმანაც გაართულა, რომ ნაჯეიბი აზიელია და ცემის მიზეზი ეგებ რასისტული ამბები ყოფილიყო.

სასამართლო გვარიანად გაიწელა, ერთხელ გადაიდო კიდეც და ახლახან განახლდა. პირველი შედეგიც არის: ნაფიცმა მსაჯულებმა დაასკვნეს, ბოიერმა და ვუდგეიტმა აზიელი ბიჭი იმიტომ კი არ სცემეს, რომ აზიელია, უბრალოდ, მთვრალები შარს ეძებდნენ და პირველი, ვინც გადაეყარათ, ნაჯეიბი იყოო. მოკლედ, ლიდსელებს რასიზმის ბრალდება მოეხსნათ და სასამართლოს ახლა ისღა აქვს გასარკვევი, ხულიგნობისთვის და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის როგორ დასაჯონ.

სანამ ბოიერი და ვუდგეიტი ჰალის სასამართლოში დარბოდნენ, მათზე ორჯერ მხცოვანმა ლოთარ მათეუსმა გაუფრთხილებლობით იგივე სიტყვები წარმოთქვა, რაც გასულ წელს სინიშა მიხაილოვიჩისგან მოისმინა პატრიკ ვიეირამ. გავიხსენოთ, რომ შარშანდელ ლიგაში „ლაციო“ — „არსენალის“ მატჩისას მიხაილოვიჩმა ვიეირას შავი ღორი უწოდა, რითაც მისი კანის ფერზე მიანიშნა. ალბათ, ისიც გახსოვთ, საყოველთაოდ შერისხული სერბი რამდენიმე დღის მერე „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიკროფონით ხელში როგორ იხდიდა ბოდიშს.

ლოთარ მათეუსის ამბავი კი ასე იყო: ავსტრიის ჩემპიონატის წინა ტურში გერმანელის გაწვრთნილი რაპიდელები ზალცბურგელებს ხვდებოდნენ. ერთ მომენტში „რაპიდის“ ჰოლანდიელ გასტონ ტაუმენტს „ზალცბურგის“ ჰონდურასელმა მაინორ სუასომ კოჭში მწარედ ჩასცხო და უმალ ხურდაც მიიღო. ინციდენტიც ამით დასრულდებოდა, მაგრამ მათეუსი მინდორზე შეიჭრა და ჰონდურასელს შავი ღორი და მისთანები უძახა.

მათეუსი მოედნიდან, ცხადია, გააძევეს, ზალცბურგელებმა კი ფედერაციაში პროტესტი აფრინეს. ახლა მათეუსს გვარიანი ჯარიმა და დისკვალიფიკაცია ელის.

**გიორგი დარჯანია**



ლოთარ მათეუსი

# მგონი, ისევ ყნოსავს...



დიეგო მარადონას „გენიალური“ აზრები არ ელევა

**ზოგიერთი** იტალიური გაზეთი წერს, რომ დიეგო მარადონას „ბოკა ხუნიორსის“ შემადგენლობაში საკონტინენტთაშორისო თასზე მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ სურს თამაში. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი 27 ნოემბერს ტოკიოში უნდა ჩატარდეს. თუ ვინმეა ისეთი, ვისაც არგენტინელი სერიოზული კაცი ჰგონია, სრული უფლება აქვს, ეს ამბავი ირწმუნოს. ხოლო ვისაც ამისი არ სჯერა, თამამად შეუძლია, ხელი ჩაიქნიოს და დაამატოს, ამდენმა კოკაინმა სულ გამოათაყვანა ეს ბუმბერაზი ფეხბურთელიო.

**ოლიმპია 92:78 სლოვანი**

**ოლიმპია: ველში (9), გოლემაცი (7), ილიევსკი (7), ბოისა (10 წუთი, 0 ქულა), მოდრიჩი (11), ბ. უდრიჰი (16), ავოჯობი (16), კიპრუსი (7), სუბოტიჩი (3), ჰუკიჩი (6), ნიჩევიჩი (10)**

**სლოვანი: სტევანოვიჩი (2), ოუბოლტი (10), ჟაკელი (12), ფრირსონი (17), ტულუში (34 წუთი, 13 ქულა, 5 მოხსნა), უგრეხელიძე (25 წუთი, 6 ქულა), ჟუპანი (2), შლოკარი (6), ზაგორაცი (10)**

ახალდაარსებულ ადრიატიკის ლიგაში, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ჩემპიონატის მემკვიდრედ მიიჩნევა, სლოვენიური დერბი გაიმართა. ლიუბლიანს ორი გუნდი — ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“ და უგრეხელიძე-ტულუშის „სლოვანი“ მესამე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი „ოლიმპიას“ დარბაზში, „ჰალა ტივოლში“ გაიმართა და მასპინძლადაც ბოისას გუნდი ითვლებოდა.

შეგახსენებთ, ეს გუნდები კრკა-სა და „პივოვარნასთან“ ერთად სლოვენიის ჩემპიონატში იქამდე არ ასპარეზობენ, სანამ მეოთხედფინალები არ დაიწყება. ასე რომ, მათი ერთადერთი საზრუნავი ევროთასების გარდა ადრიატიკის ლიგაა. ამ მატჩამდე პირველმა ორმა ტურმა ისე განვლო, „სლოვანს“ გამარჯვება არ ეგემა, იგი ჯერ მოძმე „პივოვარნასთან“ დამარცხდა ლაშკოში, ხოლო შემდეგ ხორვატულმა „ზადარმა“ დაალონა საკუთარ კედლებში. „ოლიმპიამ“ კი პირიქით, ბოსნიური „შიროკიცა“ და კრკა-ც დააჩოქა და არც „სლოვანთან“ აპირებდა ფეხის გადაბრუნებას.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. „სლოვანს“ სულაც არ ეტყობოდა, რომ ტრავმების გამო წამყვანი მოთამაშეები — სამო უდრიჰი და კოვაჩი აკლდა. დავით უგრეხელიძე საწყის წუთებში ტოლს არ უდებდა „ოლიმპიას“ ცენტრს, სანდრო ნიჩევიჩს. ის ექვსი ქულა, რომელიც მან საბოლოოდ მოიხვეჭა, პირველ მეოთხედზე მოდის. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი ათწუთეული მასპინძელთა უმნიშვნელო უპირატესობით — 23:22 დასრულდა.

ოლიმპიელთა მწვრთნელი ზმაგო საგადინი თანაქალაქელთაგან ამგვარ წინააღმდეგობას არ ელოდა და ვითარების გამოსწორება გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებით განიზრახა. მან მოედანზე დასვენებულ კალათბურთელებს უხმო, მათ შორის ვლადიმერ ბოისას. ახალმა სისხლმა მასპინძლებზე ხეირიანად იმოქმედა და მართალია, ქართველი „ქართველების“ ფარს ვერ ლაშქრავდა, მაგრამ „ოლიმპიამ“ რომ სტუმართაგან 15 ქულით მოწყვეტა მოახერხა, ამაში თავისი წვლილი ბოისასაც მიუძღვის. საბოლოოდ პირველი ნახევარი 52:39 დასრულდა. ვოვას სროლა არ წაუვიდა. მისი არც ერთი ნასროლი მიზანში არ მოხვდა, სავადინმაც მესამე მეოთხედში იგი სათადარიგოთა შორის გაიხმო და მოედანზე აღარ დაუბრუნებია.

ბოისასგან განსხვავებით, თავის გუნდში ჩინებულად ირჯებოდა კოტე ტულუში. ის, რომ სტუმრებმა ბოლო ათწუთეულის წინ სხვაობა 9 ქულამდე შეამცირეს მისი და ამერიკელი შავკანიან ფრირსონის დამსახურებაა. თუმც ამ უკანასკნელმა მაშინ უმუხთლა სლოვანელებს, როცა ისინი გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებოდნენ. ამერიკელმა ბოლო მეოთხედი იმდენად უნიათოდ ჩაატარა, რამდენადაც მანამდე ივარგა. ფრირსონს, თითქოს ცეცხლი უკიდიაო, ბურთი გამუდმებით ხელიდან უვარდებოდა და სტუმრებსაც ბოლო წუთებში თამაშის გადარჩენის შანსი არც მისცემიათ. მიუხედავად ამისა, იგი 17 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში. მას ტულუში 4 ქულით ჩამორჩა, ხოლო მოხსნებში სულაც პირველი იყო. ფარიდან ხუთი ასხლეტილი ბურთის დაუფლება ბევრი არაა, თუმცა ტულუშის ამ შედეგს სლოვანელთაგან ვერავინ გადააჭარბა. თამაში კი მასპინძლებმა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე და „ზადართან“ და „ციბონასთან“ ერთად ლიგის ლიდერები არიან. „სლოვანს“ კი სამივე წაგებით ბოლო ადგილი უკავია. იგი მომავალ ტურში შინ, „ბოსნასთან“ ეცდება, „ადრიატიკულ“ გამარჯვებას გემო გაუგოს.

**ირაკლი ბერტაია**

## საფრანგეთი

# შემცდომმო ახალწვეული

II ტური

**სტრასბური — ნანსი წუხელ გაიმართა, ვილერბანი — მონპელიე 105:78, დიჟონი — გრაველინი 71:81, ბურგი — ლიმოჟი 60:72, ანტიბი — შოლე 61:82, რასინგი — ტულონი 78:70, ლე ავრი — პო ორტეზი 57:74, ლე მანი — შალონი 79:88**

ორი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში მოქცეული სამეულიდან „პო ორტეზის“ იქ ყოფნა თუ აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ „შოლესა“ და „გრაველინის“ ასეთ დებიუტს ნამდვილად არავინ იფიქრებდა.

ადმინისტრაციული პრობლემების მიუხედავად, რაც ბრაგისა და მარკესის ევროპასპორტების ნამდვილობის დადგენის გამო აქვს, „გრაველინმა“ მაინც შეძლო ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვება. ამჯერად ბრაუნისა და სტრონგის შედეგიან თამაშს (ერთად 45 ქულა) დიჟონელები ემსხვერპლნენ.

შოლელებმა ანტიბელებს წარმატების პატარა შანსიც კი არ მისცეს. თუმცა ისიც აუცილებლადაა აღსანიშნი, რომ მასპინძლებს შემადგენლობაში მხოლოდ ექვსი პროფესიონალი კალათბურთელი ჰყავდათ. ამის მიუხედავად, „შოლეს“ თავკაცები კმაყოფილებას არ მალავდნენ და ისიც კი თქვეს, ასე თუ გავაგრძელეთ, სეზონის წინ დასახულ ამოცანას მალე შევასრულებთ. ჩემპიონატის დაწყებისას კი ისინი ოდენ ელიტაში ადგილის შენარჩუნებას თხოვდნენ თავის კალათბურთელებს.

ჩემპიონმა „პო ორტეზმა“ როგორც შეეფერებოდა ისე დაიწყო ტიტულის დაცვისთვის ბრძოლა. მან ჰავრში იოლად სძლია მასპინძლებს, თუმცა არც ფლორან პიეტრუსი ჰყავდა და არც ტიერი გადუ. პოელთაგან საუკეთესო მეორე პიეტრუსი, მიკაელი იყო, რომლის ანგარიშზეც 12 ქულა, 5-5 პასი და მოხსნა და 3 ჩაჭრაა.

ტურის ყველაზე დაძაბული მატჩი ჩემპიონატის პირველი სენსაციით ლე მანში გაიმართა. მასპინძლები საფინალო სირენამდე ხუთიოდ წუთით ადრე 70:62 იგებდნენ, მაგრამ მეტოქეს დაწევის საშუალება მისცეს (72:72) და ოვერტაიმიც დაინიშნა. უხეიროდ დაწყების შემდეგ მასპინძლებმა მესამე მეოთხედში მდგომარეობა გამოასწორეს და ამ ათწუთეულის 27:16 მოგების შემდეგ 7 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაწბილდნენ.

პირველი გამარჯვება მოიპოვა პრო A-ში დაბრუნებულმა „ლიმოჟმა“, რომელიც ბურგ-ან-ბრესში სტუმრობდა. ფინანსური პრობლემების გამო ელიტიდან დაქვეითებულმა გუნდმა ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა მოუგო მასპინძლებს და სწორედ ამის ხარჯზე შეძლო ორი ქულის მოხვეჭა.



ლე მანი — შოლე. სტენლი ჯეკსონი (№4) და შოლელი კრის კინგი

წინა ტურში მოულოდნელი მარცხის შემდეგ მშვენივრად ითამაშა ვიცე ჩემპიონმა „ვილერბანმა“, რომელმაც ევროლიგაც კარგად დაიწყო და ათენის აეკ-ს სძლია. შაბათს ვილერბანელებმა თავისი ახალი მწვრთნელი ბოგდან ტანიევიჩისგან ქების სიტყვებიც დაიმსახურეს. „მწვანეების“ რიგებში საუკეთესო გერმანელი ახალწვეული ტიმ ნეესი იყო, რომელმაც თამაშიდან უშეცდომოდ ესროლა და 10 ცდიდან ათივეჯერ მიაღწია მიზანს. მთლიანად კი ნეესის ანგარიშზე 22 ქულაა.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 2 | 2 | 0 | 154:122 | 4 |
| გრაველინი | 2 | 2 | 0 | 178:151 | 4 |
| შოლე | 2 | 2 | 0 | 164:140 | 4 |
| ვილერბანი | 2 | 1 | 1 | 186:166 | 3 |
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 157:152 | 3 |
| ლე მანი | 2 | 1 | 1 | 165:161 | 3 |
| ტულონი | 2 | 1 | 1 | 148:147 | 3 |
| ლიმოჟი | 2 | 1 | 1 | 145:146 | 3 |
| შალონი | 2 | 1 | 1 | 143:159 | 3 |
| მონპელიე | 2 | 1 | 1 | 160:186 | 3 |
| ნანსი | 1 | 1 | 0 | 88:81 | 2 |
| სტრასბური | 1 | 1 | 0 | 85:78 | 2 |
| დიჟონი | 2 | 0 | 2 | 152:163 | 2 |
| ლე ავრი | 2 | 0 | 2 | 126:152 | 2 |
| ანტიბი | 2 | 0 | 2 | 139:167 | 2 |
| ბურგი | 2 | 0 | 2 | 140:169 | 2 |

## ესპანეთი

IV ტური

**ესტუდიანტესი — ფორუმი 70:71, რეალი — ტაუ 63:71, ლეჩე — ხიხონი 93:91, კახა სან ფერნანდო — ფუენლაბრადა 74:60, ლეიდა — კანარიასი 89:86, გრანადა — პამესა 90:88, ხირონა — ბარსელონა 81:96, უნიკახა — კასერესი 94:60, ხუვენტუდი — კანტაბრია 89:75**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 4 | 4 | 0 | 318:235 | 8 |
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 351:316 | 8 |
| რეალი | 4 | 3 | 1 | 326:294 | 7 |
| ფორუმი | 4 | 3 | 1 | 288:275 | 7 |
| ლეჩე | 4 | 3 | 1 | 323:338 | 7 |
| ხუვენტუდი | 4 | 2 | 2 | 339:327 | 6 |
| გრანადა | 4 | 2 | 2 | 314:311 | 6 |
| პამესა | 4 | 2 | 2 | 315:314 | 6 |
| ლეიდა | 4 | 2 | 2 | 334:338 | 6 |
| ფუენლაბრადა | 4 | 2 | 2 | 277:299 | 6 |
| ხიხონი | 4 | 1 | 3 | 351:348 | 5 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 3 | 295:292 | 5 |
| კანარიასი | 4 | 1 | 3 | 251:258 | 5 |
| სან ფერნანდო | 4 | 1 | 3 | 287:297 | 5 |
| ხირონა | 4 | 1 | 3 | 279:321 | 5 |
| კასერესი | 4 | 1 | 3 | 304:327 | 5 |
| ტაუ | 3 | 1 | 2 | 158:154 | 4 |
| კანტაბრია | 3 | 1 | 2 | 228:254 | 4 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოგანოთა დრო მოსულა



REUTERS მონრეალიდან

დანიელ ბლეკბერნმა მონრეალელ იან ბულისს არ გაატანინა

15 ოქტომბერი

**მონრეალი 1:2 რეინჯერსი (1:1 0:1 0:0)**

**1:0 სურეი 11 (1), 1:1 ფლერი 17 (1), 1:2 დვორჟაკი 25 (3)**

სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ წლევანდელი ჩემპიონატი ერთობ მოულოდნელად დაიწყო. ექვსი დივიზიონიდან მხოლოდ ერთში ლიდერობს გრანდი — დეტროიტი, სხვაგან კი უცნაური ამბები ხდება. დასავლეთში ერთადერთი გუნდი, რომელსაც დღემდე არც ერთხელ არ წაუგია, შარშანდელი დებიუტანტი მინესოტაა. უქმეებზე „უაილდმა" მოგება და ფრე მიითვალა, თანაც 9 შაიბა შეაგდო, რაც შარშანდელთან შედარებით აშკარა პროგრესია. ისიც სათქმელია, რომ გოლები ისეთ ჰოკეისტებს გააქვთ, რომლებისთვისაც თავის დროზე სხვა გუნდებში ადგილი არ მოიძებნა: თუნდაც სტეისი რესტი (5 შაიბა 5 მატჩში) და ენდი სატონი (2+1 ჩიკაგოსთან) დავასახელოთ. ჩიკაგოსთან შეხვედრაში გუნდმა ახალი საკლუბო რეკორდიც დაამყარა — 4 გოლი რიცხვმრავლობაში. იმავე დივიზიონში პირველ საფეხურზე კალგარი დამკვიდრდა, რომელსაც ბოლო წლებში ყოველთვის უჭირდა სტარტის აღება. უქმეებზე „ალებმა" სტუმრად თავად დალასს სძლიეს, თანაც დიდი ნებისყოფა გამოავლინეს: ძირითადი დროის ბოლო წუთზე უმცირესობაში ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო ოვერტაიმში ახალწვეულმა კრეიგ კონროიმ იხეირა. საერთოდ, ახალმოსული მოთამაშეები კარგად მოერგნენ გუნდს, განსაკუთრებით ყოფილი სენტლუისელი მეკარე რომან ტურეკი, რომელიც ექვსივე მატჩში საუკეთესო იყო.

გავიხედოთ აღმოსავლეთისკენ. იქაურ ორ დივიზიონში ისეთი გუნდები ლიდერობენ, რომელთა ცხრილის შუაგულში ყოფნაც კი სიურპრიზად აღიქმებოდა. ცხადია, აილენდერსს და მონრეალს ვგულისხმობთ. თუმცა აილენდერსისგან გარკვეულ წინსვლას ელოდნენ, იმ შენაძენების გათვალისწინებით, კლუბმა ზაფხულში რომ გააკეთა. ახალმოსული ოსტატები თავიდანვე კარგად ათამაშდნენ. პირველ მატჩებში გუნდის ახალმა კაპიტანმა მაიკ პეკამ ივარგა, ხოლო როცა იგი დაშავდა, ლიდერობა ალექსეი იაშინმა იტვირთა. დეტროიტთან უქმეებზე გამართულ უაღრესად შინაარსიან შეხვედრაში ჩერკავსკი — იაშინი (2+1) — კვაშას (2+2) ახალგამომცხვარი პირველი სამეულის ძალისხმევით ნიუიორკელები 4-ჯერ გავიდნენ წინ და მხოლოდ ოვერტაიმში დანებდნენ მრისხანე მეტოქეს. დამატებით დროშიც ახალწვეულმა, ოღონდ დეტროიტელმა ლუკ რობიტაილმა გადაიყვანა თამაში, რომელმაც ახალ კლუბში უკვე გოლების გატანაც მოასწრო.

მონრეალი კი სეზონის წინ თავისი მრავალნაცადი ლიდერის, საკუ კოივუს გარეშე დარჩა, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, კარგად ათამაშდა. აქაც ახალწვეულები უნდა გამოვარჩიოთ. პირველი სამეულის ცენტრში კოივუს ადგილზე გამწესებულმა იანიკ პერომ ისე დაიწყო სეზონი, თითქოს მთელი კარიერა ბრაიან სავაჟისა და ოლეგ პეტროვის გვერდით გაატარა. არც სხვა ახალმოსულები აწბილებენ მწვრთნელებს. ნიუ ჯერსისთან და კოლუმბუსთან მოგებულ მატჩებში გადამწყვეტი გოლები ანდრეას დაკელმა გაიტანა. სხვათა შორის, ნიუ ჯერსის სტარტზე აილენდერსმაც მოუგო და შარშანდელი ფინალისტის სამი მარცხი ზემოხსენებული ორი გუნდის წარმატებებთან ერთად სეზონის პირველი დღეების მთავარი მოულოდნელობა გახლავთ. თუმცა მოდით, ჯერ ნურაფერს ვიწინასწარმეტყველებთ, წინ ხომ მთელი სეზონია.

უქმეების დანარჩენი მოვლენებიდან გამოვყოფთ დეტროიტის მეკარე დომინიკ ჰაშეკის პირველ შეხვედრას და მოგებას თავის ყოფილ კლუბ ბუფალოსთან. ამ თამაშში ნიკლას ლიდსტრიომმა 571-ე ქულა მოაგროვა და დეტროიტის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი მცველი შეიქნა. ფილადელფიისა და ფლორიდის მატჩის მესამე პერიოდში დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა. ჯგუფურ მუშტი-კრივში თითქმის ყველა მოთამაშე ჩაება და მსაჯებმაც ამ მესამედში 194 საჯარიმო წუთით დააჯილდოვეს ყოყლოჩინა მოჩხუბრები.

**სამველ ლარიბიანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| მონრეალი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 18:11 | 9 |
| ბუფალო | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 16:15 | 7 |
| ოტავა | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 21:17 | 7 |
| ბოსტონი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 15:10 | 6 |
| ტორონტო | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 17:15 | 5 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| აილენდერსი | 5 | 4 | 0 | 1 | 0 | 22:14 | 9 |
| ფილადელფია | 5 | 2 | 2 | 0 | 1 | 16:11 | 6 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 12:15 | 5 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 6:15 | 0 |
| პიტსბურგი | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 7:17 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 15:12 | 6 |
| ტამპა | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 9:14 | 4 |
| ვაშინგტონი | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 14:14 | 4 |
| ატლანტა | 3 | 1 | 0 | 1 | 1 | 7:10 | 3 |
| ფლორიდა | 5 | 1 | 0 | 0 | 4 | 9:15 | 2 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 5 | 4 | 0 | 0 | 1 | 19:14 | 8 |
| ჩიკაგო | 6 | 2 | 1 | 0 | 3 | 14:17 | 5 |
| სენტ ლუისი | 4 | 1 | 2 | 0 | 1 | 15:13 | 4 |
| კოლუმბუსი | 5 | 0 | 4 | 0 | 1 | 11:13 | 4 |
| ნეშვილი | 4 | 1 | 1 | 0 | 2 | 7:10 | 3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კალგარი | 6 | 4 | 0 | 1 | 1 | 14:8 | 9 |
| ედმონტონი | 6 | 4 | 1 | 0 | 1 | 19:12 | 9 |
| მინესოტა | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 15:11 | 8 |
| კოლორადო | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 11:14 | 4 |
| ვანკუვერი | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 17:15 | 4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 10:9 | 6 |
| დალასი | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 10:13 | 5 |
| ფინიქსი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 11:14 | 5 |
| ანაჰაიმი | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 12:19 | 4 |
| ლოს ანჯელესი | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 12:14 | 3 |



ივან ჰლინკა მარიო ლემიეს აღარ გაწვრთნის

# ევროპული ექსპერიმენტი დასრულდა

**მორჩა,** ნჰლ-ის ევროპული ექსპერიმენტი დასრულდა. სტარტზე ზედიზედ ოთხ მარცხში პიტსბურგმა თავისი ჩეხი მწვრთნელი ივან ჰლინკა დაადანაშაულა და ორშაბათს გაათავისუფლა. იგი დროებით მისმა ასისტენტმა, რონ კეჰუმ შეცვალა. ასე დასრულდა ლიგის ისტორიაში პირველი ევროპელის მწვრთნელის მოღვაწეობა. მოთამაშეებისაგან განსხვავებით, ევროპელ მწვრთნელებს არ სწყალობენ ნჰლ-ში. ასე რომ, ივან ჰლინკას დანიშვნამ ამ პოსტზე არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. ასეთივე არაერთგვაროვანი გამოდგა მისი პირველი და ერთადერთი სეზონიც. ერთის მხრივ პიტსბურგმა მარიო ლემიეს რენესანსს შეუწყო ხელი და კონფერენციის ფინალამდეც მივიდა, მაგრამ ჰლინკას ძალიან შეუშალა ხელი იმან, რომ სათანადოდ ვერ ფლობდა ინგლისურ ენას. წინა სეზონშიც ამბობდნენ, პიტსბურგს ლემიე და იაგრი ხელმძღვანელობენო. მერე მწვრთნელს იაგრთან ურთიერთობა გაურთულდა, ხოლო თავად მარიომ არაერთხელ გააკრიტიკა თავკაცი გუნდის ტაქტიკის გამო. ჰლინკა საპლეიოფო წარმატებამ იხსნა, მაგრამ ამ სეზონში კლუბმა ისეთი სტარტი აიღო, ისტორიას არ ახსოვს. ეს აღარ აპატიეს თავკაცს. ახლა, რა თქმა უნდა, აღარავის ახსოვს, რომ გუნდი სეზონის წინ იაგრმა დატოვა, ხოლო ოთხი მატჩიდან ორში ლემიეს არ უასპარეზია. რას იზამ, ასეთია მწვრთნელი ხვედრი. ასეა თუ ისე, პირველი ევროპელის მოღვაწეობა ნჰლ-ის კლუბში სპეციალისტთა ხანგრძლივი დისკუსიის საბაბი გახდება.

რაც შეეხება კეჰუს, მოგეხსენებათ, რომ ის ლემიეს მისვლამდე პიტსბურგის ყველაზე ცნობილი მოთამაშე გახლდათ, თუმც მის დროს „პინგვინები" ვერაფრით მოიწონებდნენ თავს.

# კვირის მოთამაშე

## მარკ პერიში (აილენდერსი)



დიდი ხანია, აილენდერსის ქომაგებს ასე არ გაუხარიათ. მათმა გუნდმა, რომელიც წლების განმავლობაში მაჩანჩალა იყო, ზედიზედ ოთხი საგარეო მოგება (!) მოიპოვა, თანაც ამ კვირაში თავად პიტსბურგი და ნიუ ჯერსი დააჩოქა. მართალია, ნიუიორკელთა სენსაციურ სტარტს უფრო გუნდში იაშინისა და პეკას მისვლას უკავშირებენ, მაგრამ ზემოხსენებულ ორ მატჩში საუკეთესო უდავოდ პერიში გახლდათ. აი, დასტურიც — 5 გოლი. ჯერ იყო და კვირის რჩეულმა „პინგვინებს" ორჯერ გაუტანა, ხოლო შემდეგ „ეშმაკები" სამჯერ დაამწუხრა. მაგრამ მთავარი, ალბათ, არა გოლები, არამედ ის ჟინი და მონდომებაა, რომლითაც პერიში გამოირჩეოდა. ამის გამო მადლიერმა ქომაგებმა მას მეორე მაიკ ბოსი უწოდეს. ის, რომ აილენდერსის ოქროს ხანის ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშეს ადარებენ, 22 წლის ფორვარდისთვის დიდი პატივია.

აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში, რომელიც პერიშისთვის პირველი იყო აილენდერსის რიგებში, მან მხოლოდ 17 გოლი გაიტანა.

**საუკეთესო ექვსეული. 8-14 ოქტომბერი**

*დან კლუტიე (ვანკუვერი, 1); ფილიპ კუბა (მინესოტა, 1) — მატიას ოლუნდი (ვანკუვერი, 1); მარკ პერიში (აილენდერსი, 1) — სტეისი რესტი (მინესოტა, 1) — ჯეფ ონილი (კაროლინა, 1)*


**იყიდება**

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა

ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე-5 სართული

**ტელ: 75 99 49**





გამოიწერეთ

**გაზეთი**

სარბიელი

თავის ფასში

ტელეფონით!

ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!

„პრეს-მობილი"




# სენსაცია სენსაციის ფონზე

**ერევანში** მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მიდის, მაგრამ ჭადრაკის სამყაროს ყურადღება ამ უდავოდ მნიშვნელოვან შეჯიბრს დროებით ჩამოშორდა და გადაირთო ანატოლი კარპოვის სენსაციურ განცხადებაზე: მსოფლიოს ექსჩემპიონი უარს ამბობს კასპაროვთან და კრამნიკთან ერთად ითამაშოს ბოტვინიკის მემორიალი და ფიდე-ს მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას აპირებს.

აირია მონასტერი. ორივე ღონისძიება მოსკოვში, ერთსა და იმავე დროს იყო დაგეგმილი და ცხადია, კონკურენტები იყვნენ, ანუ კარპოვი აღგა და ერთიდან მეორე, მტრულ ბანაკში გადაბარგდა, რაზეც სინდისის ქენჯნას არ განიცდის სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, კერძოდ: „სიტუაცია შეიცვალა — უთხრა კარპოვმა რადიო „ეხო მოსკვის" — ადრე ვფიქრობდი, რომ ფიდე-ს ჩემპიონატში მომავალ წელს მაინც ვითამაშებდი, მაგრამ ახლა ჩემპიონატის ყოველ 2 წელიწადში გამართვა დაასკვნეს და ამდენი მოცდა ხელს არ მაძლევს. მიკვირს, რომ ხალხმა ეს ამბავი ტრაგიკულად აღიქვა. საუბარია არა ბოტვინიკის მემორიალის ჩაშლაზე, არამედ ვადების გადაწევაზე. ვადების შეთანხმება სავსებით შესაძლებელია".

კარპოვი არცთუ მართალია. იგი მემორიალის ორგანიზატორებს მომავალი წლის პირველ თვეებს სთავაზობს, მაგრამ იანვარი და თებერვალი კასპაროვს ვიიკ-აან ზეეს და ლინარესის ტურნირებით შეუვსია, კრამნიკი ჯერ ბაჰრეინში კომპიუტერს უნდა ეთამაშოს და მერე ისიც ლინარესს მიაშურებს და ბოლოს და ბოლოს, ფიდე-ს ჩემპიონატის ფინალიც ხომ იანვარშია დანიშნული, დავუშვათ და კარპოვი ფინალში გავიდა... სხვათა შორის, ვეტერანი ჩემპიონი თავის შანსებს ძიახაც რომ მაღლა აყენებს. „მე დავუბრუნე ტიტული რუსეთს 1975 წელს — უთხრა კარპოვმა გაზეთ „კომერსანტ დეილის" — ჩემი ვალია, ახლაც იგივე გავაკეთო". საუბარია ფიდე-ს ჩემპიონობაზე („ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" საჩემპიონო გვირგვინი ისედაც რუსებისაა, რომელსაც კარპოვი ამჯერად სრულიად კანონიერს უწოდებს, თუმცა ფიდე-ს კრიტიკისთვის ულევად სიტყვები დაუხარჯავს).

„ფიდე-ს ჩემპიონატში თამაში ჩემს გაჩუმებას არ ნიშნავს — აცხადებს კარპოვი — მე მომავალშიც გავაკრიტიკებ ფიდე-ს უვარგისი ნოვაციებისთვის".

„რა მოხდა?" — კითხულობს დაინტერესებული დიდი და პატარა. თვითონ კარპოვს გადასვლის დეტალებზე ხმა არ დაუძრავს. არის საფუძვლიანი ვერსია, რომ ფიდე-მ ჩემპიონს უბრალოდ გადაუხადა: კასპაროვი ამტკიცებს, რომ მას დაუკავშირდნენ ფიდედან და ტურნირის გამოცვლაში 1 მილიონი დოლარი შესთავაზეს. იგივეს ამბობს კრამნიკი, ოღონდ მას იქამდე დაუგდია ყურმილი, სანამ თანხას შესთავაზებდნენ.

ასეთი ამბებია, ჩვენს მეზობლად კი არა სკანდალური, არამედ სპორტული სენსაცია მწიფდება. რუსეთის ნაკრებს წინასწარი განაცხადიდან ალექსანდრ მოროზევიჩი, ევგენი ბარეევი და ალექსანდრ ხალიფმანი კი გამოაკლდნენ (ფიდე-ს ჩემპიონატისთვის მზადება არჩიეს), მაგრამ პიოტრ სვიდლერის, ალექსეი დრეევის და ალექსანდრ გრიშჩუკის გუნდი ხომ მაინც უცილო ფავორიტი უნდა ყოფილიყო. როგორ არა! მეოთხე ტურში სომხებმა ჩრდილოელები გამოიჭირეს და ყურებზე ხახვი დააჭრეს — 3:1. ვლადიმირ აკოფიანმა სვიდლერს მოუგო, სმბატ ლპუტიანმა — კონსტანტინ საკაევს. ახლა სატურნირო სიტუაცია სომხებისთვის მეტად ხელსაყრელია. უნდა ითქვას, რომ აფრიკის ნაკრები ჩემპიონატზე ვერ ჩავიდა და 9 გუნდი თამაშობს, ამიტომ ყოველ ნაკრებს ერთი დასვენების დღე უწევს. სომხებმა უკვე დაისვენეს, რუსებმა — არა და მათ 11-11 ქულა აქვთ, ანუ სომხებს 4 პარტია მარაგში, თუმცა ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ ეკვატორზეა და ცვლილებები გამორიცხული არ არის. მესამე ადგილზე გერმანიაა, მეოთხეზე — უკრაინის ნაკრები.

**დავით გულუა**

ხუთ რგოლში

# სამარანჩის მოწონებული ყველაზე მძიმეა

**როდესაც** 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა მიტ რომნიმ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიელთათვის განკუთვნილი ოლიმპიური მედლის ნიმუში პირველად წარუდგინა ოლიმპიზმის მამებს, ამ უკანასკნელთ საკმაო ხანი დასჭირდათ იმისთვის, რომ წარმოდგენილი მედლის დიზაინი დაემტკიცებინათ. სოკ-ელ მოხელეებს მედლების უჩვეულო, არაკლასიკური ფორმა ეუცხოვათ.




და მართლაც, ამჟამინდელი მედალი საკმაოდ განსხვავდება წინამორბედისგან, რადგან უსწორმასწორო გვერდები აქვს. ამასთან, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში სოლტ ლეიკ სიტის სპორტსმენთათვის განკუთვნილი უმთავრესი ჯილდო ყველაზე მძიმეცაა — 0,69 კგ. თანაც, მხოლოდ და მხოლოდ ლითონის იმ მადნიდანაა დამზადებული, რომელიც იუტას შტატში მოიპოვება. „ჩვენ მათ ვუთხარით, რომ გზიდან არ გადავუხვევდით. გვინდოდა, რომ მედალს ბუნებრივი ფორმა ჰქონოდა, ფორმა, რომელიც დედამიწის რესურსებს გაუსვამდა ხაზს" — ასე განამტკიცა საკუთარი პოზიცია მიტ რომნიმ და აკი საწადელსაც მიაღწია. არადა, მედლის დიზაინთან დაკავშირებული დებატები დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე სოკ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა რომნის არ განუცხადა: „კარგია. შეგიძლიათ სერიულად დაამზადოთ".

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა. სამარანჩის მოწონებული მედალი კი დარჩა.

ორშაბათს თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების პრეზენტაცია მოაწყო. მედლების წინა მხარეზე გამოსახულია სპორტსმენი ჩირაღდნით ხელში, უკანა მხარეს კი დიზაინერებს ბერძნული გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ამოუტვიფრავთ. საჩემპიონო მედალი 6 გრამ ოქროს შეიცავს. მეორეადგილოსანთათვის განკუთვნილი მედალი მთლიანად ვერცხლისგანაა დამზადებული, ხოლო ბრინჯაო 90 პროცენტი სპილენძისგან, 10 პროცენტი თუთიისგან და ვერცხლისგანაა ჩამოსხმული.

# სოლტ ლეიკ სიტის წარმატება ბილეთებზე ჰკიდია

**რამდენად** წარმატებული გამოდგება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა, ამას გარკვეულწილად ოლიმპიურ ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთების გაყიდული რაოდენობაც განსაზღვრავს. ამიტომაცაა, რომ ოლიმპიადის მასპინძლები ამგვარ მონაცემებს ყოველთვიურად აჯამებენ. მით უმეტეს, რომ ასეულობით მილიონი დახარჯული დოლარის ამოღება ნაწილობრივ ბილეთებით ვაჭრობაზეა დამოკიდებული.

11 სექტემბრის ტერაქტებისა და ავღანეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ორგანიზატორებს გული გადაუქანდათ, ვაითუ ყოველივე ამან ოლიმპიადაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვაზე გავლენა იქონიოსო. ასეც რომ მოხდეს, თეთრი ოლიმპიადის მასპინძელთა ზარალი დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს, რადგან ამერიკელებმა 1,3 მილიონი ბილეთი გაყიდეს. ეს კი დაახლოებით 85 პროცენტია. გარდა ამისა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ დარჩენილი 250 ათასი ბილეთიც გაუყიდავი დარჩეს, მით უმეტეს, რომ მათ შორის ჰოკეისა და ფიგურული სრიალის ფინალურ ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთებიცაა.

სხვათა შორის, ამ ბილეთების შეძენა შეიძლება როგორც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ვებ გვერდზე, ისე ტელეფონითაც.

სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი მიტ რომნი, რომელსაც სამუშაო ისედაც თავზე საყრელი აქვს, ვითარებიდან გამომდინარე, მაკლერის როლშიც მოგვევლინა. მიტ რომნი ამერიკელებსა და მსოფლიოს არწმუნებს, რომ ოლიმპიური თამაშები მშვიდობიანად ჩატარდება, ამიტომაც ყველას მოუწოდებს, ბილეთები შეიძინონ.

„მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, ოლიმპიურ თამაშებს ვუმასპინძლებთ. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი შემთხვევისთვის" — განაცხადა მიტ რომნიმ.

# ბოროტებას სოკ-ში ოლიმპიადებს უპირისპირებენ

**ოკეანის** გაღმა დატრიალებული მოვლენების შემდეგ ოლიმპიზმის მამებს სულ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადა აკერიათ პირზე. ეს ბუნებრივიცაა: ტერაქტების შემდეგ ყველა თეთრი ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე ფიქრობს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ამერიკელ მაღალჩინოსნებთან, რათა სოლტ ლეიკ სიტიში ოლიმპიელთა უსაფრთხოება დაიცვან.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, უსაფრთხოებაზე ვზრუნავთ. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. საკმაოდ მკაფიოდ შემიძლია გითხრათ, რომ ამ მხრივ წარმატებაში დარწმუნებული ვარ" — განუცხადა როგმა „NBC-ს" „თუდეის" ახალი ამბების პროგრამას, თუმცა ამგვარი წარმატება, ანუ თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქის უსაფრთხოება ფედერალურ ხელისუფლებას, როგორც სოკ-მა მოთხოვა, 200 მილიონი დოლარი დაუჯდება. „ეს არის საზღაური სამყაროს უდიდესი სპორტული ღონისძიებისა, რომელსაც ოლიმპიური თამაშები ჰქვია და ყოველთვის გამოჩნდებიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან, მას ზიანი მიაყენონ. აი, რატომაა აუცილებელი, რომ ოლიმპიადის უსაფრთხოება დავიცვათ. ჩვენ არასდროს გვიფიქრია, გაგვეუქმებინა ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადები ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მოვლენაა, ამიტომაც ისინი არ უნდა იქცეს ძალადობის მსხვერპლად" — ოლიმპიური იდეალებისკენ მოგვიწოდებს ჟაკ როგი.

**გიგა გურასაშვილი**



# ხავიერმა ხტომა დაასრულა

## ლეგენდარულ მძლეოსანს მწვრთნელობა გა[illegible]

ბიბლიოთეკა

**ჯერ** თავის დაბადების დღესა და მერე კუბის ბეისბოლის ნაკრების პრეზენტაციაზე სიმაღლეზე მხტომელმა ხავიერ სოტომაიორმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კარიერას ამთავრებს. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელმაც ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე კუბელი უმედლოდ დატოვა. სოტომაიორი 2,33 მეტრით მეოთხე იყო და უკვე მაშინვე ჩანდა, რომ სამუდამო შვებულებაში გავიდოდა. სექტემბრის დასაწყისში მან 2,35 დასძლია, მერე იოკოჰამის ტურნირი მოიგო, მაგრამ აზრი არ შეუცვლია, დავამთავრეო, დაასკვნა საბოლოოდ.



ის დრო აღარ დაბრუნდება: ხავიერ სოტომაიორი ჩე გევარას სურათის ფონზე ნავარჯიშევით სასწაულებს ახდენდა

„ეს ამბავი ბევრს გააკვირვებდა — თქვა სოტომაიორმა, როცა კუბის ბეისბოლის ნაკრებს ტაივანის მსოფლიოს ჩემპიონატზე გზას ულოცავდა — გადაწყვეტილება პირადად მივიღე და იგი იმ ტრავმებმა გამოიწვია, რომლებიც ბოლო წლებში გამიხშირდა".

მოვიკრიბოთ დიდი მოთმინება სოტომაიორის ტიტულების ჩამოსათვლელად: 1967 წლის 13 ოქტომბერს ლიმონარში (ჰავანიდან 150 კილომეტრია) დაბადებულმა ხტუნვა 11 წლისამ დაიწყო და საერთაშორისო დებიუტი 16 წლის ასაკში, მეხიკოში ჰქონდა. მას შემდეგ სოტომაიორი 7-ჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (2-ჯერ ღია ცისქვეშ, 4-ჯერ დარბაზის და ერთხელ იუნიორთა), მოიგო ბარსელონის ოლიმპიადა და მსოფლიოს თასი 1994 წელს, როდესაც საერთო სატურნირო შედეგებიც ფანტასტიკური აჩვენა — 31 ტურნირიდან 30-ში გაიმარჯვა. სიდნეის ოლიმპიადაზე სოტომაიორი ვიცე ჩემპიონი გახდა. ახლა შევხედოთ რეკორდებს: კუბელს ეკუთვნის დარბაზების (2,43) და ცისქვეშა (2,45) მსოფლიოს რეკორდები. პოპულარული ენით რომ ვთქვათ, სოტომაიორი ერთადერთი მხტომელია, ვისაც ფეხბურთის კარის სიმაღლე (2,44) და ცოტა მეტიც დაუპყრია.

კიდევ რისი თქმა შეიძლება? კარიერის მანძილზე სოტომაიორმა 230-ზე (!) მეტგზის დასძლია 2 მეტრი და 30 სანტიმეტრი, 21 შემთხვევაში 2,40-ს გადააბიჯა და რომ იცოდეთ, სიმაღლეზე ხტომის ისტორიაში მხოლოდ 8 ათლეტმა მოახერხა ბოლო შედეგის თუნდაც ერთხელ ჩვენება.

სოტომაიორის უღრუბლო კარიერა მხოლოდ ორი წლის წინ შეირყვნა, როცა კოკაინის ხმარებაში ამხილეს. ათლეტი ჯიუტად ამტკიცებდა, კოკაინი მარტო კინოში მინახავსო და მოიპოვა კიდეც მთელი კუბის მხარდაჭერა ფიდელ კასტროს თავკაცობით (არც ადრე ჰკლებია). მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც „განსაკუთრებულ გარემოებათა" გამო სოტომაიორს დისკვალიფიკაცია გაუნახევრა, ანუ მისცა სიდნეის ოლიმპიადასა და ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება, მაგრამ ტრავმებით ტანჯული 34 წლის კუბელისთვის ეს ამბავი ნაგვიანევი იყო.

პრეზენტაციაზე სხვა ქებული კუბელი სპორტსმენების (მოკრივე ფელიქს სავონი და მისთანები) თანდასწრებით და მხარდაჭერით სოტომაიორმა განაცხადა, რომ სპორტში დარჩენას აპირებს. სამწვრთნელო კურსები უნდა დავამთავრო და კუბის მძლეოსნობის ფედერაციასთან ვითანამშრომლოო, გეგმავს ათლეტი. მოსალოდნელია, რომ უკვე ნოემბერში სოტომაიორი ტრუსების ნაცვლად ჰალსტუხს მოირგებს — მოსკოვში ევროპული მძლეოსნობის კონფერენცია ტარდება და კუბის სპორტის ინსტიტუტის ვიცეპრეზიდენტი ალბერტო ხუანტორენა იქ მასაც იახლებს.

სხვა მხრივ კი სოტომაიორი ისე ცხოვრებს, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ჰყავს ცოლი, მარია დელ კარმენ გარსია, რომელიც ათი წლის წინ პანამერიკული თამაშების ვიცე ჩემპიონი იყო სიგრძეზე ხტომაში და ორი შვილი.

**დავით გულუა**



# მიბაძეთ ვეტერანებს და თვლას ვერ აუხვალთ

**ვეტერანი** ყოველთვის სამაგალითო უნდა იყოს ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, პირველ ყოვლისა, საქციელით და გამოცდილებით. თუმცა მოქმედ ქართველ სპორტსმენებს თანამემამულე ვეტერანების მიბაძვა შედეგებს მხრივაც არ აწყენდათ. თუ რატომ, ამას ახლავე შეიტყობთ.

ახლახან საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გაიმართა ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატი საბრძოლო სამბოში. ეს სახეობა ჩვეულებრივი სამბოსგან ერთობ განსხვავებულია, რადგან ჩოქბჯენში მახრჩობელა ილეთია დაშვებული, ხოლო დგომში — კრივის და კარატეს წესით დარტყმები. ასპარეზობაში 17 ქვეყნის 131 ვეტერანი სამბისტი მონაწილეობდა.


ქართველი ვეტერანი სამბისტები

ქართველმა ვეტერანებმა ტრადიციულად ძლერად იასპარეზეს და ოთხი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს ნიციდან. ჩემპიონები გახდნენ უშანგი ყურაშვილი (74კგ), ზაურ სახვაძე (82), ანზორ ზურაბაული (100), ოთარ ყურაშვილი (მძიმე წონა); მესამე ადგილზე გავიდნენ ბეჟან ბაგაშვილი (82) და გიორგი ჩიტაშვილი (90)

ოთარ ყურაშვილი, წარსულში განთქმული სამბისტი და საქართველოს არაერთგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, მეხუთედ გახდა ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონი. ამდენივე ტიტული აქვს ზაურ სახვაძესაც, თანაც იგი, პოლიციის პოლკოვნიკი, მანამდე ევროპისა და ორჯერ პანამერიკული თამაშების ჩემპიონიც ყოფილა. ანზორ ზურაბაული კი მეოთხედ გახდა მსოფლიოს უძლიერესი ვეტერანი.

ასე რომ, ქართველო სპორტსმენებო, მიბაძეთ ვეტერანებს და თქვენს ტიტულებსაც აღარ ექნება თვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეფო რბოლების ყველა რეკორდი



ხუთ ტიტულიანი ხუან მანუელ ფანხიო

FORMULA 1

**ახალ** საუკუნეში პირველი, რიგით კი 52-ე საფორმულო ჩემპიონატი კვირას ისტორიის კუთვნილება გახდა. წლეულსაც 17 დიდი პრიზი გათამაშდა. ეს რბოლათა მაქსიმალური რაოდენობაა და აქამდე სულ ოთხჯერ (1977, 1995, 1997, 2000) ყოფილა. უფრო ხშირად (17-ჯერ) კალენდარში 16 ეტაპი შედიოდა.

წლევანდელ ასპარეზობას 26 მონაწილე ჰყავდა: ხუთი ბრაზილიელი, ოთხი გერმანელი, სამი ბრიტანელი, ორ-ორი ფინელი, ფრანგი, იტალიელი და ესპანელი, თითოც კანადიდან, ჰოლანდიიდან, კოლუმბიიდან, არგენტინიდან, ჩეხეთიდან და მალაიზიიდან. ყველაზე ასაკოვანია 37 წლის ფრანგი ჟან ალეზი, უმცროსი — ესპანელი ფერნანდო ალონსო, რომელიც 4 მარტს, ავსტრალიაში დებიუტის დღეს, 19 წლის და რვა თვის იყო. ალონსოს გარდა კიდევ ხუთი ახალბედა ვიხილეთ — კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია, ბრაზილიელი ენრიკე ბერნოლდი, ფინელი კიმი რაიკონენი, ჩეხი ტომაშ ენგე, მალაიზიელი ალექს იონგი. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 25 წლის მონტოიამ, რომელმაც პირველივე სეზონში შეძლო რბოლის მოგება, რაც საკმაოდ იშვიათი ამბავია. მან 31 ქულას მოუყარა თავი და საბოლოოდ საპატიო მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. იყოჩალა რაიკონენმაც — 21 წლის ფინელმა ცხრა ქულით მეცხრე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. დანარჩენმა დებიუტანტებმა თითო ქულის შოვნაც ვერ შეძლეს. იმასაც ვიტყვით, რომ სულ 18-მა პილოტმა მოახერხა ქულების მოპოვება. ყველაზე სტაბილურად გამოიყურებოდნენ მიხაელ შუმახერი და ჟან ალეზი — მხოლოდ ორ-ორჯერ ვერ მივიდნენ ფინიშამდე, თუმცა ალეზის ექვსი ქულა შუმის 123-თან და 9 მოგებასთან რა მოსატანია.

დღემდე გამართულ 680 ეტაპზე 33 ქვეყნის 591-მა პილოტმა იასპარეზა, მათგან 91-მა შეძლო თუნდაც ერთი დიდი პრიზის მოგება. ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავს დიდ ბრიტანეთს — 141 მრბოლი, 81 იტალიელია, 64 — ფრანგი. მთელ დედამიწაზე ყველაზე პრესტიჟულ და პოპულარულ ავტოსახეობაში ჩემპიონი 27 კაცი გამხდარა: რვა ბრიტანელი, სამი ბრაზილიელი, ორ-ორი ავსტრიელი, ავსტრალიელი, იტალიელი, ფინელი, ამერიკელი, თითოც არგენტინის, საფრანგეთის, გერმანიის, კანადის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელია.

სამეფო რბოლებში ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებიან და დაწვრილებით ითვლიან. ერთი სიტყვით, ყველაზე ყველაფერია ცნობილი — ვინ, სად, რა, რამდენჯერ. ასე და ამგვარად უამრავი პილოტ-გუნდური მიღწევა აღინუსხება. სწორედ ამ ყველა ჯურის რეკორდების ავტორებს წარმოგიდგენთ.

**გია ახალაძე**





მიხაელ შუმახერს აბსოლუტურ რეკორდსმენობამდე ცოტაღა უკლია

REUTERS

| | | |
|---|---|---|
| **ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი** | | |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | 25 წლის, 8 თვის |
| **რბოლის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული** | | |
| აშშ-ის დიდი პრიზი (1959) | ბრიუს მაკლარენი (ახალი ზელანდია) | 22 წლის, 3 თვის |
| **პოულის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი** | | |
| ბელგიის დიდი პრიზი (1994) | რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) | 22 წლის, 3 თვის |
| **ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე** | | |
| კანადის დიდი პრიზი (1980) | მაიკ ტაქუელი (ახალი ზელანდია) | 19 წლის, 5 თვის |





„ფერარი" სამეფო რბოლების ყველაზე სახელოვანი გუნდია

REUTERS

## პირადი

| | | |
|---|---|---|
| **ჩემპიონის ტიტული** | | |
| ხუან მანუელ ფანხიო | | 5 |
| ალენ პროსტი | | 4 |
| მიხაელ შუმახერი | | 4 |
| ჯეკ ბრებემი | | 3 |
| ჯეკი სტიუარტი | | 3 |
| ნიკი ლაუდა | | 3 |
| ნელსონ პიკე | | 3 |
| აირტონ სენა | | 3 |
| **მოგება** | | |
| მიხაელ შუმახერი | | 53 |
| ალენ პროსტი | | 51 |
| აირტონ სენა | | 41 |
| ნაიჯელ მენსელი | | 31 |
| ჯეკი სტიუარტი | | 27 |
| **ქულა** | | |
| მიხაელ შუმახერი | | 801 |
| ალენ პროსტი | | 798,5 |
| აირტონ სენა | | 614 |
| ნელსონ პიკე | | 485,5 |
| ნაიჯელ მენსელი | | 482 |
| **პოული** | | |
| აირტონ სენა | | 65 |
| მიხაელ შუმახერი | | 43 |
| ჯიმ კლარკი | | 33 |
| ალენ პროსტი | | 33 |
| ნაიჯელ მენსელი | | 32 |
| **უსწრაფესი წრე** | | |
| მიხაელ შუმახერი | | 44 |
| ალენ პროსტი | | 41 |
| ნაიჯელ მენსელი | | 30 |
| ჯიმ კლარკი | | 28 |
| მიკა ჰაკინენი | | 25 |
| **რბოლა** | | |
| რიკარდო პატრეზე | | 256 |
| გერჰარდ ბერგერი | | 210 |
| ანდრეა დე ჩეზარისი | | 208 |
| ნელსონ პიკე | | 204 |
| ჟან ალეზი | | 201 |
| **პოდიუმი** | | |
| ალენ პროსტი | 106 | (51+35+20) |
| მიხაელ შუმახერი | 97 | (53+29+15) |
| აირტონ სენა | 80 | (41+23+16) |
| ნელსონ პიკე | 60 | (23+20+17) |
| ნაიჯელ მენსელი | 58 | (31+16+11) |
| **მოგება სეზონში** | | |
| ნაიჯელ მენსელი | 9 | (1992) |
| მიხაელ შუმახერი | 9 | (1995) |
| მიხაელ შუმახერი | 9 | (2000) |
| მიხაელ შუმახერი | 9 | (2001) |
| აირტონ სენა | 8 | (1988) |
| მიხაელ შუმახერი | 8 | (1994) |
| დეიმონ ჰილი | 8 | (1996) |
| მიკა ჰაკინენი | 8 | (1998) |
| **ქულა სეზონში** | | |
| მიხაელ შუმახერი | 123 | (2001) |
| ნაიჯელ მენსელი | 108 | (1992) |
| მიხაელ შუმახერი | 108 | (2000) |
| ალენ პროსტი | 105 | (1988) |
| მიხაელ შუმახერი | 102 | (1995) |
| **პოული სეზონში** | | |
| ნაიჯელ მენსელი | 14 | (1992) |
| აირტონ სენა | 13 | (1988) |
| აირტონ სენა | 13 | (1989) |
| ალენ პროსტი | 13 | (1993) |
| მიკა ჰაკინენი | 11 | (1999) |
| მიხაელ შუმახერი | 11 | (2001) |
| **უსწრაფესი წრე სეზონში** | | |
| მიკა ჰაკინენი | 9 | (2000) |
| ნაიჯელ მენსელი | 8 | (1992) |
| მიხაელ შუმახერი | 8 | (1994) |
| მიხაელ შუმახერი | 8 | (1995) |
| ნელსონ პიკე | 7 | (1986) |
| ალენ პროსტი | 7 | (1988) |

## გუნდური

| | | |
|---|---|---|
| **ჩემპიონის ტიტული** | | |
| მაკლარენი | | 11 |
| ფერარი | | 11 |
| უილიამსი | | 7 |
| ლოტუსი | | 6 |
| ბრებემი | | 4 |
| **კონსტრუქტორთა თასი** | | |
| ფერარი | | 11 |
| უილიამსი | | 9 |
| მაკლარენი | | 8 |
| ლოტუსი | | 7 |
| **მოგება** | | |
| ფერარი | | 144 |
| მაკლარენი | | 134 |
| უილიამსი | | 107 |
| ლოტუსი | | 79 |
| ბრებემი | | 35 |
| **პოული** | | |
| ფერარი | | 148 |
| მაკლარენი | | 112 |
| უილიამსი | | 111 |
| ლოტუსი | | 107 |
| ბრებემი | | 39 |
| **უსწრაფესი წრე** | | |
| ფერარი | | 147 |
| უილიამსი | | 118 |
| მაკლარენი | | 107 |
| ლოტუსი | | 71 |
| ბრებემი | | 40 |
| **რბოლა** | | |
| ფერარი | | 653 |
| მაკლარენი | | 526 |
| ლოტუსი | | 491 |
| უილიამსი | | 438 |
| ტირელი | | 430 |
| **ქულა** | | |
| ფერარი | | 3608,8 |
| მაკლარენი | | 2691,5 |
| უილიამსი | | 2117,5 |
| ლოტუსი | | 1514 |
| ბრებემი | | 983 |
| **ქულა სეზონში** | | |
| მაკლარენი | 199 | (1988) |
| ფერარი | 179 | (2001) |
| უილიამსი | 175 | (1996) |
| ფერარი | 170 | (2000) |
| უილიამსი | 168 | (1993) |
| **მოგება სეზონში** | | |
| მაკლარენი | 15 | (1988) |
| მაკლარენი | 12 | (1984) |
| უილიამსი | 12 | (1996) |
| ბენეტონი | 11 | (1995) |
| მაკლარენი | 10 | (1989) |
| უილიამსი | 10 | (1992) |
| უილიამსი | 10 | (1993) |
| ფერარი | 10 | (2000) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეილემის შეხვედრა



**ვაშინგტონ-სეილემში** ამერიკის ჩოგბურთელთა ნაკრებმა დევისის თასის საკვალიფიკაციო შეხვედრა მოუგო ინდოელთა ნაკრებს. თავისი წილი თამაში მოიგო ენდი როდიკმაც, რომელსაც ძია სემის ქუდი ჩამოუფხატავს და ისე არიგებს ავტოგრაფებს. როდიკმა ლეანდერ პაესს მოუგო 4:6, 6:3, 6:2, 7:5.

# მორიგი



**მაიკ ტაისონმა** წარმატებით დაასრულა მორიგი საკრივო ყეენობა კოპენჰაგენის „პარკენის" სტადიონზე, სადაც მეტოქედ დანიელი ბრაიან ნილსენი ჰყავდა. ფოტოზე აღბეჭდილია მესამე რაუნდის ის მომენტი, როცა ტაისონმა ნოკდაუნში ჩააგდო დანიელი, მსაჯმა მეშვიდე რაუნდი დასაწყისში შეწყვიტა ბრძოლა ტაისონის სასარგებლოდ.



# მამის სატქერლად

**კვირას**, „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" „ვალენსიას" ხვდებოდა, კატალონიელთა მთავარმეგოლე პატრიკ კლუივერტი კი იქ მარტო არ იყო, თავისი შვილები ჯასტინი (მარცხნივ) და ქვინსი მოეყვანა თამაშზე. აქვე უნდა ითქვას, რომ პატრიკს არ გაუტანია, მატჩი კი ფრედ, 2:2 დამთავრდა, თანაც „ვალენსია" ორჯერ იგებდა.



# მედალი მზადაა

**აი, ასეთი იქნება 2002** წლის ზამთრის ოლიმპიადის მედალი. ოლიმპიადა ამერიკულ სოლტ ლეიკ სიტიში, იუტას შტატის მთავარ ქალაქში გაიმართება. მედალის პირზე ამოტვიფრულია სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიური ჩირაღდანი უპყრია ხელთ, ზურგზე კი გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, რომელსაც გამარჯვების ფოთოლი უჭირავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მედალი ყველა აქამდე არსებულ ოლიმპიურ მედალზე მძიმეა.




# უკვე დაშავდა

**საკალათბურთო სეზონი** ჯერ არც დაწყებულა და საკრამენტოელმა კრის ვებერმა უკვე ტრავმა მიიღო. „საკრამენტო კინგზისა" და „დალას მავერიქსის" წინასასეზონო შეხვედრის პირველსავე მეოთხედში, ვებერს კოჭი დაუშავდა და მოედანზე აღარც შემოსულა. ჯერჯერობით ცნობილიც არაა, რამდენად სერიოზულია ტრავმა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტო-რეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge